საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფაქვაა, ფაქტიურებით და ჭორებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 15 დეკემბერი, 2015 წელი.

№235 (7880)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

„ცალ-ცალკალოშიანთა“ მეტამორფოზი

როცა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და მოქმედი პოლიტიკოსების დეფიციტია

4

პოლიტიკური საქმიანობის ეკონომიკური სარგებლიანობის შესახებ თანამედროვე საქართველოში

არმაზ სანებლიძე:

დიახ, მისეულ სააკაშვილი მართალია!

ვერც წაართმევენ იმას, რაც არ ჰქონია!

8

გედევან ფოფხაძე:

ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა სახის ინფორმაცია მიაწოდა პროკურატურას ელისაშვილმა

3

◎ ღირსების საქმე

სპორტის მინისტრი რაგბის კავშირის საპრეზიდენტო არჩევნებში სახელმწიფოს ჩარევას გამორიცხავს

როგორც მინისტრი მიიჩნევს, რაგბის კავშირის გამგეობის განცხადება მიმართულია არა სახელმწიფოს, არამედ იმ ხალხისადმი, ვისაც შესაძლოა, საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევის სურვილი ჰქონდეს.

„ეს განცხადება არის იმ ხალხისთვის, ვისაც შესაძლოა, ასეთი სურვილი ჰქონდეს. სახელმწიფოსგან ჩარევაზე არ არის ლაპარაკი. სახელმწიფო მხოლოდ პოზიტიური კუთხით თუ ჩაერევა — დახმარების სახით. სახელმწიფოს მხრიდან არჩევნებში გამორიცხულია სხვა რაიმე ტიპის ჩარევა“, — აღნიშნა ხეჩიკაშვილმა ტელეკომპანია „რუსთავი-2-თან“ საუბრისას.

საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობამ მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა, რომელშიც აცხადებს, რომ ზოგიერთი „თანამდებობრივად გავლენიანი გულშემატკივრის“ და სხვა გარეშე პირების მხრიდან უკვე შეიმჩნევა მისთვის სასურველი კანდიდატის სასარგებლოდ საკუთარი გავლენის გამოყენების მცდელობა. რაგბის კავშირის გამგეობის შეფასებით, ჩარევა ქმნის სახიფათო პრეცედენტს პატიოსანი თამაშის წესების საწინააღმდეგოდ. განცხადებაში არ არის დაკონკრეტებული, თუ ვისი მხრიდან ან რომელი კანდიდატის სასარგებლოდ ხდება ჩარევა.

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის არჩევნები 20 დეკემბერს გაიმართება. პრეზიდენტობისთვის ორი კანდიდატი — ნაკრების ყოფილი კაპიტანი ირაკლი აბუსერიძე და მოქმედი პრეზიდენტი გიორგი ნიჟარაძე იბრძოლებს.

კობა კობახიძე

თემის გაგრძელება იხ. 10 გვ.

◎ ხუმრობა იქით იყოს!

ქართულ დედაეკლესიას

ქართველი საზოგადოების სახელით თხოვნით მოგმართავთ, ელისაშვილი ალეკო ზვიად ქორიძესთან ერთად იქნებ წმინდანებად შერაცხოთ!

გამომძალველ მაღალჩინოსანთა სამხილებლად, როგორც ჩანს, თვით ღვთისგან მოვლინებულმა თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა (ეტყობა, საკრებულო უკვე ეპატარავებს!) სხვადასხვა სატელევიზიო არხით საქვეყნოდ განაცხადა (სახეზე სიწითლე არც დასტყობია, ისე!), მე ექვთიმე თაყაიშვილის, ნიკო ნიკოლაძის, დიმიტრი ყიფიანისა და ილია ჭავჭავაძის უებრო სიმართლის გზას ვადგავარო, და მოწმედ თავისი შემცვლელი, ამჟამინდელი შეწყალების თავმჯდომარე ქორიძე ზვიადი დაასახელა (იმ მელასი არ იყოს, თავისი კუდი მოწმედ რომ მოიყვანა).

ისე, ჩვენში დარჩეს, იცის ბიჭმა, ვის მწკრივში უნდა ჩადგეს და რას ვერჩით! ვერც ჩვენ, საზოგადოებას, და ვერც თვითონ ეკლესიას იქნებ ვერც მოგვეფიქრებინა, ვის გვერდით უნდა დაგვეყენებინა ჩვენი დროის ეს ორი ახალი წმინდანი და ამიტომ, ამპარტავნობას მოუკვდა პატრონი! თავადვე გვიკარნახა საკრებულოელმა დამოუკიდებელმა ხალხოსანმა თავისი და თავისი შემცვლელის გაწმინდანება.

ახლა მთავარია, სინოდი რომელი ტაძრის კედლებზე გადაწყვეტს (რასაკვირველია, თავად პრეზიდენტსაც მოიშველიებენ კოჟორიძის ჩართულობით!) სიმართლისთვის ამ ორი მარტვილის გაფრესკებას!

იმედია, ნაციონალები რამე აურზაურიან აქციას მოიფიქრებენ ამ ფრიად და ფრიად სულიერ მხარდამჭერთა მტკიცედ თანადგომისთვის!

აი, ბატონებო, თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ ოცდამეერთე საუკუნეშიც კი თვითგაწმინდანების მოწმენი გავხდით!

ახლა მთავარია, ამ მართლაც წმინდა პროცესს ჩვენმა მრავალი საქმის უსაშველოდ გამჭიანურებელმა პროკურატურამ არ შეუშალოს ხელი და მართალთაგან მხილებული მტყუანები შეუწყალებლად გამოავლინოს სხვა არცთუ ცოტა სამართალგამამრუდებელთა ჭკუის სასწავლებლად!

გურამ წიკლაური

6 თვე – 60 ლარი

გამოიწერე 2016 წლის პირველი ნახევრის 120 ნომერი რედაქციაშივე შეღავათიანად

ჩვენი მისამართია ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი 66434

პრეზიდენტმა ფილოსოფოსი გივი მარგველაშვილი ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დააჯილდოვა

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, ხანგრძლივი ნაყოფიერი შემოქმედებითი და სამეცნიერო მოღვაწეობისათვის, საზღვარგარეთ ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და საქართველოს წინაშე აღმატებული ღვაწლისათვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი გივი მარგველაშვილი ბრწინვალების საპრეზიდენტო ორდენით დაჯილდოვდა.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა გიორგი აბაშიშვილმა ცნობილ ქართველ მეცნიერსა და ფილოსოფოსს ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი საქართველოს პრეზიდენტის სახელით პირადად გადასცა და 88 წლის იუბილე მიულოცა.. თავის მხრივ, გივი მარგველაშვილმა საქართველოს პრეზიდენტს საპატიო ჯილდოსათვის მადლობა გადაუხადა.

დავით უსუფაშვილი რიგგარეშე სხდომების მოწვევის მიზნით პრეზიდენტს მიმართავს

პარლამენტი მიმდინარე კვირას საქმიანობას რიგგარეშე ფორმატში გააგრძელებს.

როგორც ბიუროს გუშინდელ სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა განაცხადა, 16-18 დეკემბერს რიგგარეშე სხდომების მოწვევის მიზნით, პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს მიმართა.

სპიკერის ცნობით, საშემოდგომო სესია 18 დეკემბერს სრულდება.

„შესაძლოა, დეკემბრის ბოლოს რიგგარეშე სესია გახდეს აუცილებელი“, დასძინა უსუფაშვილმა.

პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, საშემოდგომო სესია დეკემბრის მესამე პარასკევს იხურება.

მაღალმთიანი რეგიონების ასაღორძინებლად

საქართველოს ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის განცხადებით, მაღალმთიან დასახლებებში არსებული საწარმოებისთვის შეღავათები პირველი იანვრიდან ამოქმედდება.

„მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ პირველი იანვრიდან უკვე რეალურად ამოქმედდება საგადასახადო შეღავათები საწარმოებისთვის, რომელიც ამ რეგიონებში იქნება განთავსებული. ეს შეეხება მოგების, ქონებისა და საშემოსავლო გადასახადებს. პრაქტიკულად, ეს არის კანონი, რომელიც ითვალისწინებს ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულებებით ინვესტიციების სტიმულირებას და მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას“, — განაცხადა ხადურმა.

მაღალმთიანი დასახლების სტატუსი 1600-მდე დასახლებულ პუნქტს მიენიჭება და რამდენიმე თვის შემდეგ, ეს სია გაიზრდება, — ამის შესახებ მთის განვითარების ეროვნული საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ კომისიის ერთ-ერთმა წევრმა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე თენგიზ შერგელაშვილმა განაცხადა.

მისივე თქმით, საქართველოს სოფლების 45%-ში, პირველი იანვრიდან საგადასახადო შეღავათების პაკეტი ამოქმედდება, ხოლო სოციალური შეღავათები — პირველი სექტემბრიდან.

„პირველი სექტემბრიდან ამოქმედდება სოციალური შეღავათები, ახალშეძენილ ბავშვზე დახმარება ორი წლის განმავლობაში და მატება პენსიონრებისთვის, ექიმებისთვის, ექთნებისთვის, მასწავლებლებისთვის და ა.შ.სოციალური შეღავათები ვადიანი არ არის და სანამ კანონის კონკრეტული ნორმა იმოქმედებს, მანამდე გაგრძელდება“, — განაცხადა შერგელაშვილმა.

მისი ინფორმაციით, სოციალურ შეღავათებზე 2016 წელს დაიხარჯება 40 მლნ-მდე ლარი, ხოლო 2017 წელს ეს თანხა 80 მლნ-ს მიაღწევს.

„ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში მნიშვნელოვანი ცვლილებებია

2016 წლის არჩევნებისთვის „ქართული ოცნების“ სიის ფორმირება დასასრულს უახლოვდება. „ჯი-ეიჩ-ენის“ წყაროს ცნობით, საარჩევნო სიაში მნიშვნელოვანი ცვლილებებია. ყოფილმა პრემიერ- მინისტრმა, რომელიც საარჩევნო სიაზე უშუალოდ მუშაობს, შეთანხმებას საზრიანთა კლუბის 4 წევრთან მიაღწია. „ჯი-ეიჩ-ენის“ ინფორმაციით, „ბიძინა ივანიშვილის სიაშია“ 3 ჟურნალისტიც.

პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძეს სავარაუდოდ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ისევ მცხეთის მაჟორიტარ დეპუტატად წარადგენენ.

პოლიტიკურ კულუარებში ამბობენ, რომ საარჩევნო სიაში „რესპუბლიკური“ პარტიის კვოტების რაოდენობა იზრდება, რაც კოალიციის წევრებს შორის დაძაბულობას ზრდის.

მმართველ გუნდში 2016 წლის საარჩევნო სიას სწორედ „ივანიშვილის სიით“ მოიხსენიებენ.

კულტურის ყოფილი მინისტრის ყოფილი მოადგილე საყდრისის თემაზე ალაპარაკდა

მოთხოვნა მოდიოდა ზემოდან, რომ საყდრისი არ ყოფილიყო შემაფერხებელი გარემოება კერძო ინვესტორის მუშაობისთვის, — ამ განცხადებას კულტურის ყოფილი მინისტრის გურამ ოდიშარიას ყოფილი მოადგილე მარინე მიზანდარი აკეთებს.

„ყველა ინსტანციიდან მოდიოდა ზეწოლა. თუნდაც სხვა სამინისტროებიდან იქნებოდა, მინისტრთა კაბინეტიდან თუ პრემიერ-მინისტრის აპარატიდან და კანცელარიიდან. ქუმსიშვილი და მარგიშვილი მაშინ მოადგილეები იყვნენ, მაგრამ უფრო მაღალ დონეზეც იყო ეს ზეწოლა. მოთხოვნა იყო, მოდიოდა ზემოდან, რომ საყდრისი არ ყოფილიყო შემაფერხებელი გარემოება კერძო ინვესტორის მუშაობისთვის“ — აცხადებს მიზანდარი.

საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოსთან დაკავშირებით ხელისუფლების მხრიდან ზეწოლის შესაძლებლობაზე სამოქალაქო სექტორშიც საუბრობენ. საია-ს შეფასებით, არ არის გამორიცხული, რომ გადაწყვეტილება მის აფეთქებაზე კულტურის სამინისტროს მიღმა მიიღეს. ისინი საეჭვო გარემოებებზეც საუბრობენ და აცხადებენ, რომ კანონი არაერთხელ დაირღვა და სასამართლოს დამოუკიდებლობასაც ეჭვქვეშ აყენებენ.

მატარებლის საცდელი გავლა წარმატებით განხორციელდა

შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზისა“ და „აზერბაიჯანის რკინიგზის“ საქართველოს ფილიალის ერთობლივი ორგანიზებით მარაბდა-ახალქალაქის სარკინიგზო მონაკვეთზე სატვირთო მატარებლის საცდელი გავლა წარმატებით განხორციელდა. როგორც „მარაბდა-კარწახის რკინიგზის“ წარმომადგენლები აცხადებენ, ეს კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია პროექტის წარმატებით დასრულებისკენ.

ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო ხაზი უმნიშვნელოვანესი პროექტია როგორც საქართველოსთვის, ისე მთელი რეგიონისთვის და მას დიდი ეკონომიკური და გეოპოლიტიკური დატვირთვა აქვს. პროექტის განხორციელების შედეგად გაიხსნება მნიშვნელოვანი სარკინიგზო დერეფანი აზიიდან ევროპისკენ.

„კოკაინის საქმე“ და მანანა კობახიძე

პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე ადასტურებს, რომ ე.წ. „კოკაინის საქმეზე“ დაკავებულების შეწყალებას ითხოვდა.

კობახიძემ გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ საუბარში გამოცემის იმ ინფორმაციაზე გააკეთა კომენტარი, რომლის თანახმადაც, საქმე, რომელზეც შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარე ალეკო ელისაშვილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებს მასზე ზეწოლაში ადანაშაულებს, სწორედ ე.წ. კოკაინის საქმეა.

როგორც კობახიძე ამბობს, 2011 წელს სააპელაციო სასამართლოსა და შემდეგ უზენაეს სასამართლოში ის ე.წ. კოკაინის საქმეზე დაკავებული პირების ადვოკატი იყო.

„საკმაოდ რთული და შრომატევადი საქმე გახლდათ. დიახ, ამ ადამიანების შეწყალებას ნამდვილად ვითხოვდი, რადგან დღესაც ვფიქრობ, რომ პატიმრობაში სერიოზული საპროცესო დარღვევებით იმყოფებიან. ჩვენებები მოწმეებზე ზეწოლით მოიპოვეს და ზოგადად, ბევრი სამართლებრივი კითხვაა პასუხგაუცემელი. ათეულობით საჩივარი მაქვს დაწერილი და როგორც მაშინ მჯეროდა, რომ საქმის გამოძიება დარღვევებით ჩატარდა, დღესაც ვფიქრობ, რომ ამ საქმის ხელახალი განხილვა უნდა დაიწყოს. ანალოგიური მოთხოვნით მთავარი პროკურორისთვისაც არაერთხელ ოფიციალურად მიმიმართავს, რადგან პატიმრების ნათესავები ამას ჩემგან, როგორც დეპუტატისგან, ითხოვდნენ. შეწყალების კომისიაშიც ვგზავნიდი რეკომენდაციას, რადგან ვფიქრობ, ამ ადამიანებმა სამართლებრივი მისაგებელი ვერ მიიღეს“, — აცხადებს კობახიძე.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი არც იმას უარყოფს, რომ შეწყალების კომისიაში გაგზავნილი განცხადების ბედით დაინტერესებულიყო და ალეკო ელისაშვილისთვის დაერეკა, თუმცა, მისი თქმით, ეს შეწყალება არ იყო დაჟინებული მოთხოვნა.

კობახიძე ელისაშვილისგან სატელეფონო ჩანაწერების შინაარისის გასაჯაროებასა და იმ მტკიცებულებების წარმოდგენას ითხოვს, რომელიც დაადასტურებს, რომ აღნიშნულ საქმეში 200 ათასი ლარი თუ დოლარი აქვს აღებული.

„ანასტასია ზაუტაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაც გაუარესებული იყო, თანაც მას სამი შვილი ჰყავს, რაც ქმნიდა საფუძველს, რომ შეწყალების კომისიისთვის მიემართათ. შესაძლოა, ალეკო ელისაშვილთან ოფიციალური განცხადებების გაგზავნის შემდეგ, მოვიკითხე, რა ეტაპზე იყო საქმის განხილვა და ისიც შესაძლოა, ელისაშვილს ვთხოვე, საქმე თაროზე არ შემოედოთ. გაასაჯაროოს ელისაშვილმა სატელეფონო ზარების შინაარსი. დიახ, მე დავრეკავ ყველასთან საჩივრის ბედის შესახებ, ვისთანაც ოფიციალური მოთხოვნა მაქვს გაგზავნილი. ეს ეხება სამინისტროებსაც და პროკურატურასაც. ეს არ ნიშნავს, რომ ვინმესთან დაჟინებული მოთხოვნა მქონდა. უსინდისობაა, თუ ალეკო ელისაშვილი ამას ასე აღიქვამს. ახლა მე ვითხოვ იმის მტკიცებულებას, რომ ამ საქმეში 200 ათასი მაქვს აღებული“, — აღნიშნავს პარლამენტის ვიცე-სპიკერი.

მანანა კობახიძე ითხოვს, რომ აღნიშნულ საქმეზე პროკურატურამ დაკითხოს.

როგორც „კვირის პალიტრა“ წყაროზე დაყრდნობით წერს, ე.წ.კოკაინის საქმის მთავარი ფიგურანტი ნუგზარ ბოჭორიშვილი თავისი მეგობარი ქალის, ანასტასია ზაუტაშვილის გათავისუფლებას ხელისუფლების ცვლილებისთანავე მისი პოლიტპატიმართა სიაში ჩასმით შეეცადა.

* * *

პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე გასულ შაბათს მთავარ პროკურატურაში დაკითხვაზე იმყოფებოდა.

როგორც ჟურნალისტებს კობახიძემ განუცხადა, ის საკუთარი სურვილით და მოთხოვნით მთავარ პროკურორს ირაკლი შოთაძეს დაუკავშირდა.

„შოთაძეს ვთხოვე, რომ მივსულიყავი როგორც მოწმე და მიმეწოდებინა ინფორმაცია, თუკი საქმეებთან დაკავშირებით, მას რაიმე აინტერესებდა“, — დასძინა კობახიძემ.

ეკა ბესელია პროკურატურაში დაკითხვაზე იყო

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარ ეკა ბესელიამ მთავარ პროკურატურას ის ინფორმაცია და დოკუმენტური მასალა მიაწოდა, რაც საქმეებთან და ფაქტებთან დაკავშირებით, კომიტეტს გააჩნდა.

ჟურნალისტებთან საუბარში ბესელია არ აკონკრეტებს, თუ როდის იმყოფებოდა მთავარ პროკურატურაში, საგამოძიებო ორგანოს რა მასალები მიაწოდა და ის დაიკითხა თუ არა.

ბესელია ამბობს, რომ დეტალებზე საუბარს არ აპირებს მანამდე, სანამ პროკურატურა ამ საქმეზე გამოძებას არ დაასრულებს.

„ჩვენ მაქსიმალურად ვუწყობთ ხელს პროცესს, რომ პროცესი სრულიად ობიექტურად, მიუკერძოებლად წარიმართოს და ბოლომდე გამოკვლეული იქნეს ყველა ფაქტი. ჯერჯერობით, დეტალებზე არ ვისაუბრებ, რადგან ეს დეტალებია შემადგენელი პროცესის და იმედი მაქვს, რომ გამოძიება მალე დასრულდება და არ გაჭიანურდება. ასე რომ, საპროცესო და ეთიკური წესები უნდა დავიცვათ. დაინტერესებული ვართ და ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ამ ფაქტების გამოძიება ობიექტურად მოხდეს და ეს განცხადებები გადამოწმდეს. ამის მზაობა მაქვს, მეყოფა გამოცდილება, ნებისყოფა, გამძლეობაც და პროფესიული უნარ-ჩვევებიც, რომ ეს საქმე ბოლომდე მივიყვანოთ. შუა გზაზე მიტოვებული პროცესები გამაღიზიანებელია და ცუდი შედეგების მომტანია და ამიტომ ეს ის შემთხვევა არ უნდა იყოს. ყველაფერს გავაკეთებ, საზოგადოებამ დაინახოს, სად არის სიმართლე და შემდეგ დასკვნა გააკეთოს, რასთან გვაქს საქმე და რა ტიპის პროცესი თუ ავანტიურა არის დაწყებული წინასაარჩევნოდ?! ყველა ის ინფორმაცია და დოკუმენტური მასალა, რაც კომიტეტს გააჩნდა, პროკურატურას მივეცი“, — განაცხადა ბესელიამ.

ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა სახის ინფორმაცია მიაწოდა პროკურატურას ელისაშვილმა

ნომრის სტუმარია პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გედევან ფოფხაძე

— ბატონო გედევან, საინტერესოა თქვენი აზრი შეწყალების კომისიის კორუფციულ ბრალდებებთან დაკავშირებით. თქვენ თუ გქონიათ შეხება ალეკო ელისაშვილთან კომისიის მუშაობის მიმდინარეობისას?

— არასოდეს ალეკო ელისაშვილთან კომუნიკაცია არ მქონია, არასოდეს არაფერი მითხოვია. რაც შეეხება ზოგადად შეწყალების თემას, ეს არის ძალიან ფაქიზი, ამდენად, მასზე საუბრისას სიფრთხილე გვმართებს. ჩემი აზრით, შეიძლება, ზოგადად ინსტიტუცია დაზარალდეს და კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს შეწყალების საკითხი. თუკი ვინმეს გათავისუფლება ხდებოდა ანგარებით, ან რაიმე სხვა ინტერესით, მაშინ გამოდის, რომ სტანდარტი არც არსებულა. როცა ადამიანს იწყალებს სახელმწიფო, პატიმარმა უნდა იცოდეს, რა მიზეზით მოხდა ეს და ასევე უნდა იცოდეს სხვა პატიმარმაც, რა მიზეზით გაათავისუფლეს თანამოსაკნე... ანუ როგორი სტანდარტიც ექნება შეწყალების კომისიას, ეს განსაზღვრავს პატიმრების ქცევას. თუ შეწყალების სტანდარტი არ არის, ეს სისტემას დაზარალებს...

— კონკრეტულად, კორუფციულ გარიგებებზე რომ ილაპარაკოთ...

— კორუფციულ გარიგებას ჰქონდა თუ არა ადგილი, ეს უნდა დადასტურდეს. ვარაუდები და ეჭვები ყოველთვის შეიძლება გამოითქვას პოლიტიკოსების ან იმ ადამიანთა მიმართ, რომლებიც მსგავს საკითხებში არიან ჩართული, მაგრამ მთავარია, მტკიცებულებები! სახელმწიფო ვალდებულია, თავისი მოქალაქეების მიმართ იყოს კეთილი და ჰუმანიზმის პრინციპით იხელმძღვანელოს. კითხვა ისე კი არ უნდა დასვან, რატომ უნდა გაუშვას სახელმწიფომ პატიმარი, არამედ პირიქით, რატომ არ უნდა გაუშვას — აი, ეს არის მართებული მიდგომა.

— ალეკო ელისაშვილი ამბობს, რომ მან წელიწად-ნახევრის წინათ ჩააყენა საქმის კურსში პრეზიდენტი, ასევე დეპუტატები. ამ საქმით დაინტერესდა პროკურატურაც, თუმცა, ძიება არ დაწყებულა. თქვენთვის ეს არ არის არგუმენტები, რომლებიც ეჭვს გააჩენდა?

— ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა სახის ინფორმაცია მიაწოდა ელისაშვილმა პროკურატურას. თუკი მე, როგორც დეპუტატმა გამოვთქვი აზრი, კარგი იქნება, თუ ამ პატიმარს შეიწყალებთ-მეთქი, ეს თავისთავად არ არის სისხლის სამართლის დანაშაული. თუ, რა თქმა უნდა, ანგარებითი მოტივი არ დასტურდება. ეს არის კერძო დონის განცხადება და კომისიის მუშაობაში ჩარევადაც კი არ მიიჩნევა.

— ელისაშვილი მიანიშნებს, რომ მას აიძულებდნენ, მისდიოდა მუქარის შემცველი შეტყობინებები... ასევე ამბობს, რომ წინასწარ ბეც კი ჰქონდა აღებული მის მიერ დასახელებულ პირს — 200 ათასი დოლარის ოდენობით პატიმრის გათავისუფლების სანაცვლოდ. ამის შემდეგ კი მილიონ-ნახევარი უნდა აეღო და ა. შ. ეს ყველაფერი ელისაშვილის წარმოსახვის ნაყოფია?

— მთავარია, ამ განცხადების მტკიცებულებებით გამყარება. მე რომ ვნახო პატიმარი, რომელიც მძიმე მდგომარეობაშია, ან ჯანმრთელობა აქვს შერყეული და მისი ლობირება დავიწყო, თავისთავად დანაშაული არ არის. ჩვენგან ძალიან ბევრი წერილი იგზავნება შეწყალების კომისიაში, რადგან პატიმრები ხშირად ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს მიმართავენ და შეწყალებას ჩვენგან ითხოვენ. რადგან ჩვენ ეს ფუნქცია არ გვაკისრია, წერილებს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ვამისამართებთ. არაოფიციალურადაც რომ ვუთხრათ კომისიას ამა თუ იმ პატიმრის შეწყალების შესახებ (თუმცა, მე ეს არასოდეს გამიკეთებია) არც იმაშია რამე დასაძრახი, მითუმეტეს, სისხლის სამართლის დანაშაული არ არის!

— აქ თანხებზეა საუბარი?

— თუ თანხაზეა საუბარი, მაშინ უნდა დაამტკიცო.. ეს სერიოზული ბრალდებაა! დანაშაული არის არა პატიმრის ლობირება სიტყვიერად, არაოფიციალურად, არამედ თანხის აღება. თუ ამის მტკიცებულება არა აქვს ბატონ ალეკოს, ბრალდება ბრალდებად რჩება და სულ მცირე, ბოდიში მაინც უნდა მოიხადოს.

თუ ელისაშვილი პროკურატურას მხოლოდ იმ ინფორმაციას მიაწოდებდა, რომ მას ვიღაცამ ზეპირად სთხოვა პატიმრის შეწყალება, ამაზე ძიება არ დაიწყებოდა. თუ დაადასტურებდა, რომ ეს ხდებოდა ანგარებით, მაშინ უკვე პროკურატურის გადასაწყვეტი იყო, აღძრავდა თუ არა საქმეს.

— ალეკო ელისაშვილის ბრალდებების გახმიანებისთანავე ამოტიტივდა ეკა ბესელიას პიროვნება. რატომ, თქვენი აზრით, რა შეხება ჰქონდა მას შეწყალების კომისიასთან?

— შეწყალების კომისიასთან ჩვენს კომიტეტს არანაირი შეხება არ ჰქონია, მითუმეტეს, ქალბატონ ეკას. თავდაპირველად, მივმართეთ კომისიას, ხომ არ ჰქონდათ კომიტეტთან თანამშრომლობის სურვილი, მაგრამ პასუხი არ მიგვიღია. შეწყალების კომისია ავტომატურ რეჟიმში მუშაობდა.

— მაგრამ თქვენს კომიტეტს შეხება ჰქონდა პოლიტპატიმრების სიასთან...

— პოლიტპატიმრებთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, გვქონდა. ამ კომისიაში შედიოდნენ უჩა ნანუაშვილი, კახი კახიშვილი, ია მეტრეველი, ნინო გვენეტაძე... მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, ანუ ყველა პოლიტპატიმრის უკან იდგა კონკრეტული სუბიექტი, კონკრეტული საქმე... ჩვენ გვქონდა მონაცემები პატიმართა პოლიტიკური აქტივობათა შესახებ, შევისწავლეთ მათი ბიოგრაფია... მე კატეგორიულად ვაცხადებ, რომ გარიგებით არ ხდებოდა ამ სიის შედგენა. ვინმეს შემოპარებაც კი გამორიცხულია. ანგარება კი — ძალიან მძიმე ბრალდებაა.

— ანასტასია ზაუტაშვილის საქმე თქვენთვის ცნობილია? პრესაში გახმიანდა, რომ თითქოს ამ პატიმრის ლობირებაში დაადანაშაულა ალეკო ელისაშვილმა მანანა კობახიძე და ეკა ბესელია... კობახიძემ დაადასტურა, რომ ის მართლაც იყო ზაუტაშვილის საქმით დაინტერესებული.

— ზაუტაშვილის კანდიდატურა პოლიტპატიმართა სიაში მე არ მახსენდება. თუ, რა თქმა უნდა, მეხსიერება არ მღალატობს. ანასტასიას შევხვდი საპატიმრო დაწესებულებაში, ერთ-ერთი შიმშილობის აქციის დროს. მისი საქმე ჩემთვის მეტ-ნაკლებად ცნობილია: ის საუბრობდა, რომ თითქოს მისი საქმე „შეკერილი“ იყო, ასევე აცხადებდა წამების შესახებ, ლაპარაკობდა ზეწოლაზე და ასე შემდეგ. შესაბამისად, არც გამოვრიცხავ, რომ შეწყალების კომისიისთვის ვინმეს მიეცა რეკომენდაცია ნაწამები პატიმრის შესახებ. ნაწამები ადამიანის მიმართ რომ სახელმწიფო მოწყალე იყოს, ამაში დანაშაულს ვერ ვხედავ.

— ხომ არ იცით, ვინ გაუწია რეკომენდაცია?

— არ ვიცი, მე ამის შესახებ ინფორმაცია არა მაქვს...

— ანასტასია ზაუტაშვილი იყო პოლიტპატიმართა სიაში, მაგრამ ამოიღესო.

— სია დასრულებული სახით გავიტანეთ კომიტეტზე. შეიძლება ვინმემ თქვას, რომ ზაუტაშვილი ამ სიაში არ შეიყვანეს, თორემ ამოღებაზე ლაპარაკი ზედმეტია. ასეთი რამე ვერ მოხდებოდა. როგორც გითხარით, ანასტასია პოლიტპატიმართა სიაში არ მახსენდება. საკმაოდ მკაცრი ფილტრაციით შევადგინეთ სია და ვთქვით კიდევაც, რომ თუ ვინმე საეჭვოდ არის მოხვედრილი, ჯობია კრიტიკულად მივუდგეთ და გავფილტროთო... პოლიტპატიმრების სიებთან დაკავშირებით ისედაც ყოველთვის იყო კითხვები. მითუფრო, რომ ნაციონალური მოძრაობა მოტივირებულია, ეჭვები გააჩინოს და შეწყალების პროცესს დისკრედიტაცია უყოს, ანუ დაინტერესებული მხარე იმთავითვე არსებობდა. ამ კითხვის ნიშნებისა ჩვენ არ გვეშინოდა, რადგან ჩვენს თავთან მართლები ვართ.

ანგარების მოტივი რომ გაჩნდა ამ საქმეში, ძალიან შეურაცხყოფილი დავრჩი. ჩვენ ღამეებს ვათევდით პოლიტპატიმრების ბედზე ფიქრით და არა მგონია, ჩვენგან ვინმეს სხვა მოტივაცია ჰქონოდა, გარდა მადლის ქმნისა. მაგალითად, პირადად მე მოვამზადე ერთ-ერთი პატიმრის რეზო მუმლაძის ანოტაცია და დღესაც მზად ვარ, დავასაბუთო, რატომ ვიყავი მისი შეწყალების ინიციატორი.

— როგორ ფიქრობთ, ამ სკანდალის დასრულებას. ვის დაეკისრება პასუხისმგებლობა?

— არსებობს უდანაშაულობის პრეზუმფცია, ამიტომ ვინმეს დადანაშაულება რთულია. თუკი დამტკიცდება ბრალდება, რა თქმა უნდა, უნდა დადგეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი. რაც შეეხება ალეკო ელისაშვილს, თუ მან ეს ბრალდება ვერ დაამტკიცა, საჯაროდ ბოდიშის მოხდა მოუწევს!!! თუ ვერ უმტკიცებ, წესით, არც უნდა დააბრალო. მაგალითად, დეიდაჩემმა დაურეკა დედაჩემს და ჰკითხა, გედევანი ხომ არაფერ შუაშია ამ ამბავშიო... ეჭვი რატომ უნდა აღეძრას ვინმეს, რომ მე ანგარება მამოძრავებს?! რა, უნდა ვამტკიცო, რომ პატიოსანი ადამიანი ვარ?..

საჯარო პირი ვარ და თმენის ვალდებულება მაქვს, მაგრამ არა იმისა, რომ ვამტკიცო, ეს დანაშაული მე არ ჩამიდენია-მეთქი. არც ალეკო ელისაშვილმა უნდა გამიჩინოს ამის ვალდებულება. რაღაც ეტაპზე, მას იმ ადამიანის დასახელება მოუწევს, მაგრამ დღეს მან ზოგადი განცხადებით, ყველას მიმართ გააჩინა ეჭვი... ეს ჩემი აზრით, პოლიტიკის ნაწილია, მემარცხენე განცხადებაა. მაგრამ საჯარო განცხადების დროს პოლიტიკოსები უფრო კონკრეტულები უნდა იყვნენ.

ესაუბრა
თეა ფოსია

◎ ურთიერთბრალდების კორიანტელი

ირაკლი სესიაშვილი: ელისაშვილს ერჩივნა ჭორაობის ნაცვლად პროკურატურისთვის მიეკითხა

პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი სესიაშვილის განცხადებით, თუკი ალეკო ელისაშვილის მიზანი იყო, რომ სიკეთე გაეკეთებინა და კორუფციული ფაქტი გამოეაშკარავებინა, ვინმეს კაბინეტში კი არ უნდა ეჭორავა, მას პროკურატურაში ოფიციალური განცხადება უნდა დაეწერა. როგორც ჟურნალისტებს სესიაშვილმა განუცხადა, საზოგადოება გამოძიებას უნდა დაელოდოს.

„ღრმად ვარ დარწმუნებული, ის რა ინფორმაციაც ვრცელდება, ამას უფრო ჭორაობის სახე აქვს, ვიდრე ეს რაიმე რეალური ბრალდება იყოს. ნებისმიერ მოქალაქეს უფლება აქვს, რომ შეწყალება ითხოვოს და თუკი თანამდებობის პირები შეწყალების პროცესში საკუთარ პოზიციას აფიქსირებენ, ეს კომისიის ინტერესში უნდა იყოს, რომ ისინი სიტუაციაში უკეთ გაერკვნენ და ამაში დანაშაული არაფერი არ არის. დასახელებულ პირებთან მიმართებაში კატეგორიულად გამოვრიცხავ, რომ საქმე კორუფციასთან, გარიგებასთან და ფინანსურ ინტერესებთან გვქონდეს. იმის ნაცვლად, რომ ელისაშვილს ოფიციალურად ემოქმედება, საქმე ჩვენი ღირსების შელახვასთან გვაქვს“, — აცხადებს სესიაშვილი.

კანონმდებელი ფიქრობს, რომ ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას და ეს ყველაფერი ღიად უნდა ითქვას, ვიდრე საუბარი იმ დონეზე გაიმართოს, ვინ ვის კაბინეტში იჭორავა.

„ნებისმიერი თანამდებობის პირის განცხადება შინაგან პასუხისმგებლობას უნდა ეფუძნებოდეს. შეიძლება ბევრი რაღაც ვიცოდეთ, მაგრამ უდანაშაულობის პრეზუმციის პრინიპები არსებობს, რომელიც უნდა დავიცვათ. სამწუხაროდ, ელისაშვილის განცხადებებიდან პასუხისმეგებლობა ვერ დავინახე. როგორც ჩანს, ამ სიტყვების უკან ვალდებულებაა, რომ ეს ყველაფერი დამტკიცდეს და იმის ნაცვლად, რომ ელისაშვილს პასუხისმგებლობა აეღო, ის ხელს პროკურატურისკენ იშვერს, კეთილი ინებოს და საქმე გამოიძიოსო. თუკი მტკიცებულება არ არსებობს, ასეთი საქციელი უპასუხისმგებლობაა“, — განაცხადა სესიაშვილმა.

გია ვოლსკი: ჩვენი ვალდებულებაა, მივმართოთ შეწყალების კომისიას...

დეპუტატი გია ვოლსკი მიზანშეწონილად მიიჩნევს, პროკურატურამ დაკითხოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძეც. „ნებისმიერი ადამიანი, ვისაც ოდნავ მაინც შეეხო ტალახის წვეთი, აუცილებლად უნდა დაიკითხოს. ეს საქმე ბოლომდე უნდა მივიდეს და რაც შეიძლება სწრაფად. ძალიან შევაჩვიეთ საზოგადოება, რომ საკითხები დიდხანს იხილება და წლების განმავლობაში ვერ დავაზუსტეთ და ვერ დავადგინეთ, რა ტენდენციებთან გვაქვს საქმე“, — განაცხადა გია ვოლსკიმ. მისი შეფასებით, მმართველი გუნდის წევრების მიმართ გამოთქმული ბრალდებები არის კონტრშეტევა, რადგან ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს კონკრეტულად წამების თემებთან დაკავშირებით.



„წამების ბრალდებით, ასზე მეტი ადამიანია გასამართლებული. ვფიქრობ, ამას კიდევ კონკრეტული საქმეები დაემატება, რომელმაც შეიძლება რაღაც წიაღსვლების აუცილებლობა გამოიწვიოს. გამოძიების აუცილებლობა დააყენოს და შესაძლოა, კონკრეტულ ადამიანებს და პირებს მიადგეს ეს თემა. მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს არის განხორციელებული კონტრშეტევა. საიდან მოდის ეს კონტრშეტევა, ამასთან დაკავშირებით შეიძლება სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს, მაგრამ ფაქტია, რომ ნებისმიერ დეპუტატს, მათ შორის, მეც, მანანა კობახიძეს, ეკა ბესელიას, ყველას, 150-ვე დეპუტატს, არათუ უფლება გვაქვს, ვალდებულები ვართ, რომ ნებისმიერი მომართვის შემთხვევაში, თუკი საკითხი ეხება საჩივარს უსამართლობის შესახებ, თუნდაც ეს ერთი შეხედვით უსაფუძვლო იყოს, შესაბამის ორგანოს ამ საკითხის დეტალური შესწავლის მოთხოვნით მივმართოთ. მათ შორის, მივმართოთ შეწყალების სახელმწიფო კომისიასაც“.

ᲧᲘ-ᲔᲘᲬ-ᲔᲜᲘ, ᲛᲔᲓᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ

როცა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და მოქმედი პოლიტიკოსების დეფიციტია

პოლიტიკური საქმიანობის ეკონომიკური სარგებლიანობის შესახებ თანამედროვე საქართველოში

ჯერ თავი და თავი, მერე — ცოლი და შვილი.
ქართული ანდაზა

ეს ბოლო წლებია, სტატისტიკის ეროვნული სამსახური წელიწადში მხოლოდ ერთხელ „გვანებივრებს“ ინფორმაციით ქვეყანაში დასაქმებისა და უმუშევრობის დონეთა შესახებ. წლის დანარჩენ, „“სადაგ“ დღეებში საქართველოს თითოეულ მოქალაქეს თავად უხდება შრომის ფრონტზე (თუმცა, „ფრონტი“ რა სახსენებელია?! — შრომის ბაზარზე!) არსებული მდგომარეობის ემპირიული ანალიზი და რეალურ მდგომარეობაზე შესახებ სათანადო დასკვნების გაკეთება. თუმცა, იმ ერთ დღესაც ვერ ვღებულობთ პასუხს, თუ რამდენი ადამიანია დასაძმებული პოლიტიკით, უფრო სწორედ, რამდენი ადამიანი ჭამს პურს პოლიტიკური საძმიანობით. იგულისხმება *პროფესიული პოლიტიკური საქმიანობა*, თორემ ისე, იცოცხლე, ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ისეა დაინტერესებული პოლიტიკით, ხშირად პურთან ერთად ისიც ავიწყდება, პურის ფული ჯერაც საშოვნელი რომ აქვს. ასეა თუ ისე, პოლიტიკური პროცესებისადმი თვალყურის დევნება მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის სანახაობაა, მაშინ, როდესაც პური, ძველი რომაელებისგან განსხვავებით, მხოლოდ საკუთარი შრომითა და მარიფათით აქვს მოსაპოვებელი.

ცნობილი ფაქტია, რომ თანამედროვე ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი მახასიათებლის — **ბაზრის** (ამ სიტყვის ყველაზე ფართო და ტევადი გაგებით) **ოთხი** უმნიშვნელოვანესი კომპონენტიდან (საქონელი, ფული, კაპიტალი და სამუშაო ძალა) **ყველაზე სუსტი რგოლი მაინც სამუშაო ძალის, შრომის ბაზარია.** — ჩვენს ქვეყანაში დაქირავებით დასაქმების დონე ამერიკისას თითქმის სამჯერ ჩამორჩება და ამიტომ სამსახურის შოვნა ზრდასრული და შრომისუნარიანი მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის თითქმის ეგზისტენციური დატვირთვის მატარებელია. ასეთ პირობებში **პოლიტიკას, პოლიტიკურ ცვლილებებს, რეფორმებს ამ პროცესებში ჩართული კონტინგენტის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი შინაგანი მოწოდების წყაროდ, ქვეყნის ხსნისა და სწრაფი ეკონომიკური პროგრესის პირობად კი არა, საკუთარი პრობლემების გადაჭრის ძირითად საშუალებად აღიქვამს**. — თუ მთლად კლონდაიკად არა, ოქროს შემცველ საყდრისის მთად მაინც, რომელსაც სხვებზე სწრაფად, ადრე და მარიფათიანად უნდა დაუფლება და „დამუშავება“... ძირითადად ამით უნდა აიხსნას ის თითქმის ასტრონომიული ციფრი პოლიტიკური პარტიებისა, რაც მოსახლეობის მხრივ ასე მცირერიცხოვან საქართველოს ჰყავს. სიტყვამ მოატანა და ანალოგიური მისწრაფებებით უნდა აიხსნას ჩვენში აზარტულ თამაშებთან დაკავშირებული დაწესებულებების ასეთი მომრავლებაც.

ერთ ცნობილი, აუცილებელი და კეთილშობილი პროფესიის წარმომადგენლებზე ნახევრად ხუმრობით ამბობენ, რომ ისინი მუშაობენ და პრობლემებს ნახულობენ **იქ**, სადაც სხვები სიამოვნებას ეძებენ.... აბსოლუტურად საპირისპიროს თქმა შეიძლება პოლიტიკაში დასაქმებულ ბევრ პირზე, რომლებსაც უპრიანი იქნება, პოლიტიკოსები კი არა, *„პოლიტიკაში დასაქმებული ცნობადი სახეები“* ვუწოდოთ. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ **დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე ადამიანური საქმიანობის, ბიზნესის თითქმის ყველაზე მაღალრენტაბელური დარგი პოლიტიკაში და პოლიტიკასთან დაკავშირებული საქმიანობა აღმოჩნდა.** გამოვლინდა ერთი უნივერსალური კანონზომიერება: ცალკეულ პირებს ბიზნესის საოცარი ნიჭი რატომღაც მხოლოდ მაშინ და იმ პერიოდით ეხსნებათ, როცა ხელისუფლებაში მათი ნათესავი, ახლობელი ან მეგობარი იმყოფება. ეტყობა, ახლობლის ხელისუფლებაში მოსვლა მათ, მედიცინაში აქამდე უცნობ, *ნიჭიერების ზრდის ჰორმონებს* უყალიბებს... ამის შედეგად, ასეთი „ცალ-ცალკალოშიანი“ პირები სულ მოკლე ხანში მსოფლიოში ცნობილი სალონებისა და სასტუმროების მუდმივი სტუმრები და კლიენტები ხდებიან.

პოლიტიკური პარტიების დაფინანსება

#	პოლიტიკური პარტია / საარჩევნო სუბიექტი	წელინადში (გენდერის დანამატის ჩათვლით)	თვეში	რომელი არჩევნების შედეგების მიხედვით იღებს პარტია დაფინანსებას
1	პ/გ ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	764,844	63,737	2012 წლის საპარლამენტო
2	საქართველოს კონსერვატიული პარტია	642,444	53,537	2012 წლის საპარლამენტო
3	პ/მ მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს	642,444	53,537	2012 წლის საპარლამენტო
4	საქართველოს რესპუბლიკური პარტია	642,444	53,537	2012 წლის საპარლამენტო
5	პ/გ თავისუფალი დემოკრატები	642,444	53,537	2012 წლის საპარლამენტო
6	პ/გ ეროვნული ფორუმი	642,444	53,537	2012 წლის საპარლამენტო
7	პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	2,175,832	181,319	2012 წლის საპარლამენტო
8	საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია	598,697	49,891	2014 წლის თვითმმართველობა
9	პ/გ გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა	997,037	83,086	2014 წლის თვითმმართველობა
10	პ/გ საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	400,208	33,351	2014 წლის თვითმმართველობა
11	პ/გ საქართველოს ლეიბორისტული პარტია	373,293	31,108	2014 წლის თვითმმართველობა
	სულ	8,522,127	710,177	

ასეთი პოლიტიკოსები საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში დარჩენას ახერხებენ საარჩევნო ციკლზე ორიენტირებული პოპულისტური განცხადებებით და ნაბიჯებით. **ასეთი იყო, მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინათ გაცხადებული „ზრუნვა“ პენსიონერთა პენსიების 50 ლარით გაზრდის თაობაზე.** ჩვენ გვახსოვს ასეთთა ხელისუფლებაში ყოფნის დროს გამოხატული „ზრუნვის“ მკაფიო მაგალითები, როდესაც „უკეთეს შემთხვევაში“ ხელისუფალთა ქველმოქმედება ბიზნესის დარეკეტების ხარჯზე ხორციელდებოდა, „უარესი შემთხვევის“ დიაპაზონი კი გაცილებით ფართო და მომეტებული რისკის მატარებელი იყო — **სხვადასხვა ფონდებში ნებაყოფლობითი შენატანებითა და საპროცესო გარიგებებით დაწყებული და მეტისმეტი ურჩი ბიზნესმენების „განკულაკებით“ ან „შემთხვევით“ გადამწვარი აქტივებით, დამთავრებული.**

რა თქმა უნდა, პოლიტიკოსებიც ადამიანები არიან და მათაც ახასიათებთ ადამიანური სისუსტეები, არაა მათთვის უცხო არაკომპეტენტურობა და შეცდომები. საზოგადოება ბევრ რამეზე ხუჭავს თვალს, თუმცა **ორი გარემოება** განსაკუთრებით მიუღებელი რჩება ამომრჩევლისათვის და საგრძნობლად დაბლა სწევს ამ უკანასკნელთა თვალში მათ ავტორიტეტს.

ერთი მათგანი უკვე ვახსენეთ ზემოთ — ესაა მათი კეთილდღეობის მნიშვნელოვნად წინმსწრები ზრდა არა თუ ეკონომიკის, არამედ ბიზნესის სხვა, ტრადიციულ, ეროვნული ეკონომიკის სფეროებში მოღვაწე ბიზნესმენების საშუალო მოგების ზრდასთან შედარებით.

მეორე გარემოებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ პერიოდულად ცალკეული პოლიტიკოსების გამონათქვამები შოკისმომგვრელი, ნებსით თუ უნებლიეთ, ანტისახელმწიფოებრივი შინაარსისაა, მტრის წისქვილზე წყლის მიშვებას ჰგავს. ამის შემხედვარეს, ძალაუნებურად გიჩნდება განცდა, რომ **ქვეყანაში მრავალნაირი დეფიციტის** (სამუშაო ადგილების, ადგილობრივი წარმოების პროდუქციის, ბიუჯეტის, შემოსავლებისა და ა.შ.) **რეესტრი საჭიროებს კიდევ ერთი ელემენტით — *სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და მოქმედი პოლიტიკოსებით* — შევსებას.** ამავე დროს, ვფიქრობ, დროა, რომელიმე ქართულმა მედიასაშუალებამ იტვირთოს **ყველაზე არატრადიციული პოლიტიკური ორიენტაციისა და ოდიოზური განცხადების გამკეთებელი (მარტივად რომ ვთქვათ, არასახელმწიფოებრივად მოაზროვნე და მეტყველი) პოლიტიკოსის** გამოვლენის ფუნქცია. გავიხსენოთ, როგორი რუდუნებით გამოავლენს ხოლმე ამერიკული ჟურნალი „თაიმი“ ყოველწლიურად მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ფიგურის სახელს და ნომინანტთა სიაში ხშირად დემოკრატიისა და მსოფლიოში აღიარებულ ფასეულობათა დაუძინებელი მოწინააღმდეგეებიც კი შეყავს.

პოლიტიკურ პარტიებზე ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან 12 მილიონ ლარზე მეტი გამოიყოფა, რაც რატომ სამჯერ არ აღემატება აღმასრულებელი ხელისუფლების ზედა დონის (მთავრობა, მინისტრები და მათი მოადგილეები) ხელფასების წლიურ ფონდს, თავისი პრემიებითა და ე.წ. დანამატებით. მაგალითად, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ყოველწლიურად იღებს თითქმის 2.2 მილიონ ლარს, ანუ პოლიტიკური პარტიების დაფინანსებიდან ყოველ მეოთხე ლარს. — ერთი შეხედვით, 12 მილიონი ლარი ბიუჯეტის ახლანდელ მასშტაბებთან შედარებით ბევრი არ არის. — „სულ რაღაც“ 0.12 პროცენტია. მაგრამ ეს აისბერგის მხოლოდ ზედა ნაწილი, ასე ვთქვათ „ბონუსია“ სახელმწიფოსაგან წასახალისებლად კონსტიტუციურ და ინსტიტუციურ ჩარჩოებში მოქმედებისა და საარჩევნო პროცესში მიღწეული წარმატებების შესაბამისი. მეორეც, ქვეყნის ეკონომიკის მასშტაბები და მოსახლეობის რიცხოვნობაც ხომ უნდა იქნას მხედველობაში მიღებული?! საპარლამენტო არჩევნებს შორის ოთხწლიან პერიოდზე გაანგარიშებით დასახელებული თანხა კი იმაზე მეტია, ვიდრე საქართველოს ეკონომიკის ასაღორძინებლად ასე რეკლამირებულ და იმედის ფსონდადებულ პროექტზე „აწარმოე საქართველოში“ გათვალისწინებული სახსრები. ოპოზიციური პარტიების ძირითადი წყარო — კერძო **ნებაყოფლობითი** (ბრჭყალებში ან უბრჭყალებოდ) შემოწირულებები და ის სახსრებია, რომლებიც განსაკუთრებით 2003 წლის შემდეგ შექმნილი და კონკრეტულ პოლიტიკურ ძალასთან აფილირებულ ფირმებსა და კომპანიებს უკავშირდება.

ბუნებრივია, აღნიშნული პროცესები მეტნაკლებად სხვა ქვეყნებისთვისაცაა დამახასიათებელი, თუმცა ეკონომიკურად სუსტად განვითარებულ და მაღალი სოციალური დიფერენციაციის მქონე ქვეყანაში ყოველივე ეს უფრო გამძაფრებულად და მწვავედ აღიქმება.

ჯერჯერობით კი... სანამ პოლიტიკოსთა საგრძნობი ნაწილისაგან ქვეყნისათვის მოტანილი სარგებლიანობა ნაკლებია მათზე გაწეულ აუცილებელ თუ საზოგადოებისათვის ფაქტობრივად *ინსტიტუციურად თავსმოხვეულ ხარჯებთან* შედარებით, მანამდე ჩვენს ქვეყანაში კვლავაც დარჩება პოლიტიკით, როგორც საარაკოდ რენტაბელური ბიზნესსაქმიანობით, დაკავების მაღალი სოციალური მოტივაცია, გრძელვადიან პერსპექტივაში თავისი სავალალო შედეგებით...

იოსებ არჩვაძე,
ეკონომიკის დოქტორი,
თსუ პროფესორი.

ფეხბედნიერი ყოფილიყოს ეს ახალი წელი!

ცოტაც და ახალი, 2016 წელი შემოგვიღებს კარს. ახლა სწორედ ის დროა, ჩავფიქრდეთ და გონებით გამოვთვალოთ, რითი მოვედით აქამდე და რის მიღწევას ვნატრობთ სამომავლოდ.

დღეს ჩვენი უპირველესი მოვალეობა სამშობლოს ჯარისკაცობა, ერთგულება და ერთიანობაა. ქვეყნის დამოუკიდებლობას, თავისუფლებას მირადი ლამაზი სიცოცხლე შეეწირა. ვიყოთ მათი დაწყებულის ღირსეული გამგრძელებლები.

უფალი ბრძანებს: სადაც ორი ან სამი ერთად დგახართ, მეც თქვენთან ვარ და რასაც მთხოვთ, ყველაფერს შეგისრულებთო. დავდგეთ ერთად და ღმერთს შევთხოვოთ სამშობლოს გამთლიანება და გადარჩენა.

შემდეგ: ჩვენი ეკლესია საშინელი საფრთხის წინაშე დგას და ჩვენ გვევალება მისი დაცვა. უღმერთონი, უფლის მტრები შეიჭრნენ ტაძარში, მას ნიაღვრებივით მიაწყდა ცილისწამება შინაურთაგან თუ გარეულთაგან.

არადა, გავუსწოროთ თვალი სინამდვილეს. აგვისტოს ომის დროს ჩვენი სამღვდელოება უწმინდესისა და უნეტარესის, კათოლიკოს-პატრიარქის მეთაურობით, ჩაბრძანდა ქართლის სოფლებში დაჭრილების გამოსაყვანად და დაღუპულთა გადმოსასვენებლად.

ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც ყოველთვის, მტკიცედ და შეურყევლად დგას ერის სადარაჯოზე.

ამჯერადაც მტკიცედ აღუდგა კაცობრიობის ახალ ჭირს: ჰომოსექსუალთა და ლესბოსელთა მოძრაობას, მათ მოთხოვნას ერთსქესიანთა ქორწინების თაობაზე.

„რომ გადავრჩეთ, უნდა გავმრავლდეთ“ — ბრძანებს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ერთსქესიანთა ქორწინება კი ამ ჭეშმარიტების წინააღმდეგია.

* * *

2005 წელს სამკურნალოდ გახლდით ქ. რიგის ორთოპედიულ-ტრავმატოლოგიურ საავადმყოფოში (ის, სხვათა შორის, ქართველი ექიმის არჩილ მაჩაბლის დაარსებულია), რომლის დირექტორიც იყო ჩემი მკურნალი ექიმი ვალდის ზატლერსი, შემდგომში ლატვიის პრეზიდენტი. სწორედ იმ დროს რიგაში მოეწყო ჰომოსექსუალთა დემონსტრაცია. ხელისუფლებამ მათ მკაცრად განუცხადა, თქვენ ავადმყოფები ხართ და თუ გინდათ, უფასოდ გიმკურნალებთ, ხოლო თუ ერთსქესიანი ქორწინება გსურთ, დაახვიეთ აქედან, ჩვენ პატარა ერი ვართ და ბავშვებს და დედებს უნდა მივხედოთო.

ლატვიის ჯანდაცვის კანონში ჰომოსექსუალიზმი ავადმყოფობად ითვლება, კონსტიტუციაში კი ჩაწერილია დებულება ერთსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგ.

ამ თემაზე სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ როგორც ექიმმა ისიც უნდა ვთქვა, რომ ჰომოსექსუალიზმი მორალური, ზნეობრივი თვალსაზრისით გარყვნილებაა (ნუ დაგვავიწყდება: ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა, ერი მაშინ კვდება, როდესაც იგი ზნეობრივად კვდებაო), ხოლო რელიგიური თვალსაზრისით ჰომოსექსუალიზმი უღმერთობაა, მომაკვდინებელი, უპატიებელი ცოდვაა.

ეკლესიისადმი მე განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს.

განათლებით ექიმი გახლავართ. 30 წელზე მეტი ვიმუშავე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკაში, რომელიც სამივე ომის დროს სამხედრო ჰოსპიტლის მოვალეობას ასრულებდა. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მივიღე თავისა და ხერხემლის მძიმე ტრავმა. ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ მდგომარეობა გაუმჯობესდა, მაგრამ ფეხზე ძირითადად მამა სოკრატეს (ჭულუხიძე) ლოცვამ დამაყენა. აქ მკითხველს მინდა ვუამბო ერთი სასწაულის შესახებ, რომელიც წმინდა სამების ტაძარში 2014 წლის 2 აგვისტოს — წმინდა ილია თეზბიტელის ხსენების დღეს ვიხილე.

ტაძარში წირვის დამთავრების შემდეგ რაღაც სულ სხვაგვარი განცდა დამეუფლა. მარტო ვარ და დაუხმარებლად სიარული მიჭირს. სტიქარო-სანმა ხვიჩა შველიძემ სავარძელი დამიდგა და დამსვა. როდესაც უწმინდესი გამობრძანდა, დამინახა და პირდაპირ ჩემსკენ წამოვიდა და დამლოცა, წმინდა ხელით თავზე შემეხო.

უეცრად საოცარი ძალა ვიგრძენი. ხვიჩას დაუხმარებლად დავიწყე სიარული. თავსაბურავი მოვიძვრე და ცელოფნის პარკში ჩავდე. ვიფიქრე, ამ რელიკვიას, რომელსაც უწმინდესის ხელი შეეხო, აღარასოდეს დავიფარებ, ხელუხლებლად შევინახავ-მეთქი.

ვზივარ სამების ტაძრის შესასვლელში და ქალბატონ ლია გვინანაძეს ვუყვები ამ ამბავს. უეცრად ტაძარში მტრედი შემოფრინდა, ტაძრის კამარას შემოუფრინა, ...მერე მხარზე დამაჯდა და ღუღუნი დაიწყო. ლია მეუბნება, არ გაინძრე, არ დააფრთხოო, ირგვლივ ხალხი შეგროვდა, სურათების გადაღება დაიწყეს. ზოგიერთი გვერდით დამიდგა და ჩემთან ერთად გადაიღო სურათი. მტრედი კი ღუღუნებს და დგას...

ერთ დღეს შინ ახლობელი მესტუმრა, რომელსაც ეს ფოტო ინტერნეტში ენახა, მკითხა — თავსაბურავი რატომ არ გაფარია, ქალი ტაძარში თავშიშველი როგორ შეხვედიო. ავუხსენი რაშიც იყო საქმე. უწმინდესისა და უნეტარესის დალოცვას და შეხებას ისეთი ძალა აქვს, რომ მას მტრედებიც კი ემორჩილებიან-მეთქი.

* * *

მე, რომ იტყვიან, სულით ხორცამდე ქართველი ვარ, მაგრამ ლამის თანაბრად მიყვარს ლატვია, რომელთანაც ბევრი რამ მაკავშირებს. ზემოთ ვთქვი, რომ 2005 წელს სამკურნალოდ ვიყავი რიგაში. მაშინ საფუძვლიანად გავიცანი და შევიყვარე ლატვიელი ხალხი, მათი ისტორია, ტრადიციები, შინ დაბრუნების შემდეგაც არ შემიწყვეტია ბალტიისპირეთთან ურთიერთობა. გავიცანი საქართველოში მცხოვრები ლატვიელები, განსაკუთრებული თბილი ურთიერთობა მაკავშირებს საქართველოში ლატვიის საპატიო კონსულთან პროფესორ რეგინა იაკობიძესთან. ვარ ლატვიელთა საზოგადოება „ავესოლის“ საპატიო წევრი, შპს „საქართველო-ლატვია სიცოცხლისთვის“ ხელმძღვანელი.

ჩემი პროექტი გახლავთ „საქართველო-ლატვია გუშინ, დღეს, ხვალ“. ლატვიელმა მეგობრებმა გვირჩიეს პროექტში ჩაგვერთო სამედიცინო ნაწილი, რაკი პროფესიით ექიმი (ტრანსფუზიოლოგი) ვარ. ჩვენი დევიზია „მედიკოსებო, გავერთიანდეთ და დავიცვათ სიცოცხლე დედამიწაზე“, იგი ეფუძნება ექიმის ფიცს: „ვემსახურო ჩემს სამშობლოს და ხალხს სიცოცხლის ბოლომდე“.

* * *

მოდის ახალი წელი, ახალი იმედების, ახალი მიღწევების მიჯნა. ამას, უპირველეს ყოვლისა, ვულოცავ ჩვენს ხალხს, მან მთელი 25 წლის მანძილზე ნაბრძოლმა და ძალაგამოცლილმა დაიმსახურა უკეთესი დღევანდელობა და წარმატებული ხვალინდელი დღე.

ახალ წელს ვულოცავ და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ აგრეთვე ჩემს საყვარელ ლატვიელ ხალხს, რომელიც ერთ მუშტად შეკრული, ერთიანი მიზნებითა და იდეალებით შედუღაბებული აშენებს თავის მომავალს.

დაბოლოს, ახალ წელს ვულოცავ ქართველი ხალხის სულიერ მამას, უწმინდესსა და უნეტარესს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს, კიდევ დიდხანს ელოცოს მას მშობელი ხალხის საკეთილდღეოდ.

იზოლდა ჩინჩალაძე,
ექიმი-ტრანსფუზიოლოგი.

სურათებზე: სასწაული „სამების“ ტაძარში; სამლოცველო კუთხე იზოლდა ჩინჩალაძის ბინაში (ზემოთ).

განცხადება

შპს „სამხრეთ კავკასიის უნივერსიტეტში“ ცხადდება კონკურსი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

1. გამოცხადდეს კონკურსი შპს „სამხრეთ კავკასიის უნივერსიტეტში“ აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად რექტორის 2015 წლის 14 დეკემბრის № 05/01 ბრძანების „შპს სამხრეთ კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის“ შესაბამისად.

2. უნივერსიტეტის პროფესორად და ასოცირებულ პროფესორად 5 (ხუთი) წლის ვადით, ხოლო ასისტენტ-პროფესორად 3 (სამი) წლის ვადით შეიძლება არჩეული იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

3. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს **2016 წლის 15 იანვრიდან 2016 წლის 19 იანვრის** ჩათვლით.

4. კონკურსი გამოცხადდეს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის 9 საშტატო ერთეულის დასაკავებლად:

ა) ქართული ფილოლოგიის სპეციალობით — 1 საშტატო ერთეული;

პროფესორი — 1 საშტატო ერთეული;

ბ) საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით — 8 საშტატო ერთეული;

პროფესორი — 2 საშტატო ერთეული;

ასოცირებული პროფესორი — 4 საშტატო ერთეული;

ასისტენტ პროფესორი — 2 საშტატო ერთეული;

5. კონკურსი გამოცხადდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის 12 საშტატო ერთეულის დასაკავებლად:

ა) ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობით — 8 საშტატო ერთეული;

პროფესორი — 2 საშტატო ერთეული;

ასოცირებული პროფესორი — 4 საშტატო ერთეული;

ასისტენტ პროფესორი — 2 საშტატო ერთეული;

ბ) ეკონომიკის სპეციალობით — 4 საშტატო ერთეული;

პროფესორი — 1 საშტატო ერთეული;

ასოცირებული პროფესორი — 2 საშტატო ერთეული;

ასისტენტ პროფესორი — 1 საშტატო ერთეული;

6. აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, (ფაილის ფორმატი — Word და PDF ფაილების სახით);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ვ) სასწავლო კურსის სილაბუსი;

ზ) ერთი პუბლიკაციის ქსეროასლი;

თ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია/სამოტივაციო წერილი (სამეცნიერო კვლევების კონცეფციის წარმოდგენა სავალდებულოა მხოლოს იმ აპლიკანტებისთვის, რომელთაც სურთ პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავება, ასისტენტ პროფესორები წარმოადგენენ სამოტივაციო წერილს).

7. საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს **2016 წლის 15 იანვრიდან 2016 წლის 19 იანვრის ჩათვლით, 10:00—დან 17:00 საათამდე**, შპს „სამხრეთ კავკასიის უნივერსიტეტის“ საკონკურსო დოკუმენტაციის მიღებაზე უფლებამოსილ სუბიექტებთან. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. №1, მე-3 სართული, ოთახი № 3;

ტელ: 2 309095

რას არ გაიგონებ!..

განათლებული და თითქოს საქმეში კარგად ჩახედული ადამიანებისგანაც არცთუ იშვიათად ისეთ რამეებს გაიგონებ, რომ ძალაუნებურად დაეჭვდები — რასაც ჩვენს გასაგონად ამბობენ, მართლა სწამთ თვითონაც, ლაფსუსები მოსდით (თანაც, სისტემატურად?!) თუ „რძალო შენ გეუბნები, მულო შენ გაიგონეს“ პრინციპით მოქმედებენ, ანუ როცა შინაურებისთვის ნათქვამი „გარე ბიძაშვილებისთვისაა“ გამიზნული. ასეა თუ ისე, მთავარი მაინც ისაა, თუ რას ამბობენ ისინი. <u>თუ არ იცნობ საქმის ვითარებას, შეიძლება ისე გაიზიარო და მოიწონო კიდეც გამოთქმული აზრი, რომ საკრიტიკოც ვერაფერი დაინახო მასში</u>, მაგრამ... ალბათ, მაინც აჯობებს პირდაპირ სათქმელზე თუ გადავალ და შესავალ ნაწილს აქ დავასრულებ (ყველა გამონათქვამი ქართველი საზოგადოებისთვის ცნობილ, პოლიტიკაში აქტიურად ან არააქტიურად ჩართულ პიროვნებებს ეკუთვნის).

მაშ ასე:

<u>1. „ჩვენ უნდა დავიცვათ ბალანსი რუსეთსა და ამერიკას შორის“.</u>

და, არ დაუჯერა ძია სემს ჯიუტმა მიშიკომ და თავისი გაიტანაო! ასეთი სიბრიყვე რომ ირწმუნო, აუცილებლად ზოგიერთი ექსპერტივით „გონებაგახსნილი“ ან „გულწრფელი“ უნდა იყო! ამერიკის ნების საწინააღმდეგოდ ომის წამომწყებს, ომიდან მეორე დღეს ოთხი მილიარდი დოლარის „ჩეკს“ კი არ გამოუწერდნენ რუსეთთან ურთიერთობის დალაგების მომხრეები, არამედ საერთაშორისო ტრიბუნალს გადასცემდნენ საკუთარი ერის და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის!

4. „დღევანდელ ხელისუფლებას რუსეთთან მრავალმხრივი ურთიერთობის აწყობისა და ფართომასშტაბიანი დიალოგის დაწყების არ უნდა შეეშინდეს! ანგარიში არ უნდა გაუწიოს იმას, რას იტყვიან და რა იარლიყს მიაწებებენ სააკაშვილი და ნაციონალები“!

როგორ დავიჯერო ამის მთქმელმა არ იცის, რომ სააკაშვილის და ნაციონალების კი არ ეშინია ხელისუფლებას, მას ამერიკის შიში აქვს მხოლოდ; და ისიც გაცნობიერებული აქვს, რომ ნაციონალები და არასამთავრობოებიც, როგორც წესი, ამერიკისთვის მისაღებ პოზიციას აჟღერებენ ხოლმე, და არა — საკუთარს.

<u>5. „ჩვენ ჩვენი მხრიდან ყველა პირობა შევასრულეთ, მაგრამ ნატოში მაინც არ გვილებენ“.</u>

ნამდვილად ასეა, მაგრამ მთლად ზუსტი არ არის. რატომ? ახლავე მოგახსენებთ: რაც „დამოუკიდებელი“ თავი გვახსოვს, სულ „ნატოს“ ფართოდ გახსნილ კარებში შესასვლელად ვემზადებით, ვიყავით სანიმუშო მოწაფეები — ფრიადოსანი სტუდენტები, ასპირანტები, დოქტორანტები, ყველა დავალებას პირნათლად და უსიტყვოდ ვასრულებდით, ავღანეთში ხომ ისეთი გინესის რეკორდიც დავამყარეთ, რომელსაც ვერავინ გაიმეორებს(!) — ჩვენ ხომ არა მარტო „ნატოს“ წევრ და არაწევრ სახელმწიფოებს, არამედ თვით ამერიკასაც „ვაჯობეთ“ „დემოკრატიის“ დასამყარებლად იქ წარგზავნილი სამხედროების რიცხვით (მოსახლეობაზე გადაანგარიშებით, ცხადია)! ამიტომ აბსოლუტურად სწორია მოყვანილი ციტატის პირველი ნახევარი, ჩვენ შესასრულებელი აღარაფერი არ დაგვრჩა. რაც შეეხება მეორე ნაწილს — **<u>„ნატოში“ მაინც არ გვილებენ“</u>**, აქ არცთუ უმნიშვნელო უზუსტობაა დაშვებული.

კომენტარს ცოტა შორიდან დავიწყებ. საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან თავდაღწეულებს, 90-იანი წლებიდან დაწყებული (განსაკუთრებით, აფხაზეთის ომის შემდეგ) ყველა ჩვენგანს — ხელისუფლებას და მოსახლეობის, ალბათ, 99 %-ს ამერიკა და „ნატოში“ გაწევრება ესახებოდა რუსეთისგან თავდაცვის ერთადერთ საშუალებად. ჩვენი ეს გულუბრყვილობა ძალიან ადვილი ასახსნელია — შეიძლება ითქვას, რომ იმ პერიოდში, ერთეულების გარდა, ყველანი „ტყემალზე ვიჯექით“, ხეირიანად არც კი ვიცოდით, თუ რა ხდებოდა მსოფლიოში, ანუ თუ რა პოლიტიკას ატარებდა ამერიკა (იგივე „ნატო“) ამერიკის ფარგლებს გარეთ.

თვალების ახელა თანდათანობით დაგვწყო, და მას ხელი ორმა გარემოებამ შეუწყო — მრავალმხრივი ინფორმაციის უსწრაფესად მიღების შესაძლებლობამ ინტერნეტის მეშვეობით და, განსაკუთრებით, საკუთარი მწარე გამოცდილების ათწლეულმა, დაწყებული ჩვენი დამაქცევარი „ვარდების რევოლუციიდან“, 2003 წლის ნოემბრიდან (არადა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ასეთი სიხარული საქართველოში არ ყოფილა. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ან საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა უსისხლოდ და, ან შევარდნაძეს მოვიშორებდით ერთი გასროლის გარეშე!). საკუთარ ტყავზე ვიგრძენით ის სიკეთეები, რაც ამერიკამ მოგვიტანა, ანუ რაც მან სააკაშვილის ხელით მიზანმიმართულად განახორციელა: სახელმწიფო ტერორიზმი, განუკითხაობა, ეკონომიკური დაღმავლობა, სოფლის, განათლებისა და ჯანდაცვის სისტემების ნგრევა, გარყვნილება, ბილწსიტყვაობა და პედერასტების გაჯეჯილება, ტრადიციების და მართლმადიდებელი ეკლესიის გაქილიკება-შეურაცხყოფა, ქართული ენის უკანა პლანზე გადაწევა და ინგლისურის წამოწევა, ქართული მიწების უცხოელებზე მიყიდვა და ათეულ ათასობით უცხოელის ჩამოსახლება (მათთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებით), და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი მავნებლური ნაბიჯის მომსწრენი გავხდით ამ მოკლე პერიოდში. ამას აგვირგვინებდა უკვე ყელში ამოსული, ქართველი ხალხის დაცინვამდე მისული, ამერიკული ყალბი შეშფოთებები (საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე გამოთქმული) ამერიკაშივე მოფიქრებული პრინციპით: „ეს ჩვენი ძაღლიშვილია“, თანაც, ჩვენ მიერ „დემოკრატიის შუქურად“ აღიარებული და ამიტომ, ძალიან ნუ დავტუქსავთ, ზოგადად გამოხატული „შეშფოთებებით“ შემოვიფარგლოთო!

ამ ცინიზმს ემატებოდა და ემატება გაყალბებულ არჩევნებზე თვალების დახუჭვა, შინაურ საქმეებში დაუფარავად რუსეთის დასუსტებას და დაშლას მიაღწევს.

<u>6. „გამაგებინეთ ხალხო, ბრძოლით მოპოვებული დამოუკიდებლობის შენარჩუნებადაცვა გინდათ, რისი გარანტიაც „ნატოში“ გაწევრება იქნება, თუ ისევ რუსეთის კოლონიად ყოფნა, მისი მონობა?“</u>

ამ არაკორექტულად დასმულ შეკითხვაზე უფრო დაწვრილებით შევჩერდები და ზემოთ კომენტირებული გამონათქვამებისგან განსხვავებით, მის ავტორსაც დავასახელებ. ეს გახლავთ ქ-ნი **ხათუნა ლაგაზიძე** — ანალიტიკოსი, პოლიტოლოგი და ექსპერტი, რომელიც, უკვე როგორც პაატა ბურჭულაძის ახალი ფონდის — „საქართველოს განვითარების ფონდის“ პოლიტიკური კურსის რუპორი (ბ-ნ სოსო ცისკარიშვილთან ერთად), ყოველ თავის გამოსვლაში ტელევიზიით (ლამის ყოველდღიურად!) რუსოფობიის გავრცელებას ცდილობს და, თან, კვლავ აგრძელებს ოპონენტებისთვის შეურაცხყოფის მიყენებას! მიზეზიც მისი დასახელებისა, სწორედ ეს არის.

ამ ქალბატონის აზრით, თუ რუსეთს „მივუჩოჩდებით“ და, ღმერთმა დაგვიფაროს, „ნატოზე“ უარს ვიტყვით, დამოუკიდებლობას დავკარგავთ, მონებად ვიქცევით! და ეს იქნება ჩვენი დაღუპვა! იგი ფიქრობს, რომ ახლა დამოუკიდებლობა გვაქვს და „ნატოში“ შესვლით მომავალშიც შევინარჩუნებთ მას, რადგანაც „ნატო“ გახდება ჩვენი მფარველი ქოლგა და უბატონოდ ხმას ვერ გაგვცემს ვერავინ.

მაინც, რომელ „ბრძოლით“ მოპოვებულ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკობს ლაგაზიძე? ჩვენი ამჟამინდელი „დამოუკიდებლობა“ მართლა ბრძოლით (1989 წელს წამოწყებული) რომ მოგვეპოვებინა, მაშინ ჩვენ და მხოლოდ იმათ ექნებოდათ ეს სანატრელი დამოუკიდებლობა, ვინც ჩვენსავით თავგანწირვას გამოიჩენდა და, რადგანაც ყველა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ მიიღო ეს დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, ამიტომ ჩვენს განსაკუთრებულობაზე (ამ საკითხში!) ლაპარაკი უადგილოა. ეს ერთი, ახლა კი უფრო მნიშვნელოვანი, — თუ რატომ ჩავსვი „დამოუკიდებლობა“ ბრჭყალებში. ამის ახსნა არ უნდა სჭირდებოდეს ადამიანს, რომელიც შევარდნაძის „მეორედ მოსვლის“ დროიდან ანალიტიკოსობს, მაგრამ მაინც განვმარტავ:

დღეს, სულ რამდენიმე დამოუკიდებელი სახელმწიფოა მსოფლიოში, რომლებსაც უნარი შესწევთ და ძალაც ერჩით სხვის დაკრულზე არ იცეკვონ. ამერიკა-ევროპაში ესენი შეერთებული შტატები და რუსეთი არიან, სხვა — არავინ. თვით ევროპის №1 სახელმწიფო, ეკონომიკურად უძლიერესი გერმანიაც კი ამერიკის მიერაა ოკუპირებული 179(!) სამხედრო ბაზაზე განლაგებული 50 ათასი ჯარისკაცით (ამერიკის თავდაცვის სამინისტროს 2015 წლის ოფიციალური მონაცემებით)! მიუხედავად ეკონომიკური დამოუკიდებლობისა გერმანელებს მიაჩნიათ, რომ ისინი ამერიკის

კომენტარები პოსტულატებისადგვარ

<u>2. „ჩვენ არ გვინდა ვიყოთ რუსეთის კოლონია და არც ამერიკის ერთ—ერთი შტატი“</u>.

კოლონიად ყოფნა რომ არავის სურს, ეს გასაგებია, მაგრამ შტატის და კოლონიის ერთმანეთთან შედარება განა შეიძლება?! თანაც, ამერიკის შტატად ყოფნას ხომ ძალიან ბევრი სახელმწიფო ინატრებდა, და მეორეც, განა ვინმემ შემოგვთავაზა ასეთი მიმზიდველი წინადადება, უარს რომ ვამბობთ?! მეტი საქმე არა აქვს ამერიკას! უბრალოდ, ამ წინადადების მთქმელმა ისიც ვერ აკადრა ამერიკას, ვერ გაბედა ეთქვა, რომ რუსეთისგან თავდაღწეულებს, არც შენ კოლონიად ყოფნა გვეხატება გულზეო!

3. „დასავლეთი მუდმივად გვეუბნება ერთ რამეს: დაალაგეთ ურთიერთობა რუსეთთან“.

ერთობ უცნაურია, რომ ამ მიამიტურ ნათქვამს გამოცდილი, პოლიტიკაში ჩახედული ადამიანებიც იმეორებენ. დავიჯერო, მათ იმდენი არ ესმით, რომ „აბა მიდით, იჩხუბეთ და აგინეთ ერთმანეთსო“ ხმამაღლა არც ერთი ჭკუათმყოფელი არ იტყვის „დემოკრატიულ“ დასავლეთში! მაგრამ განა ეს იმის დამადასტურებელი იქნება, რომ მათი საფიქრალი რუსეთის მეზობელი სახელმწიფოების რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების შენარჩუნება, ან არეულის დალაგებაა?! დასავლეთს (ამერიკას) მართლა რომ უნდოდეს რუსეთთან ჩვენი ურთიერთობების დალაგება, მაშინ ომს კი არ წამოაწყებინებდნენ სააკაშვილს 2008 წლის აგვისტოში, და არც მოძმე ხალხს — უკრაინელებს გადამტერებდნენ რუსებს. არ თქვას ახლა ზოგიერთმა „ექსპერტმა“, რომ ამერიკამ თავის „ძაღლიშვილს“ მეგობრულად ურჩია, არ დაეწყო ომი რუსეთთან, სულ იმას უჩიჩინებდა — „ურთიერთობა დალაგე რუსეთთანო“, მაგრამ ვერას გახდა. ეს ასეა, ოღონდ ეს ერთი ფაქტი ავიღოთ: ამ ომის ერთ-ერთ ინიციატორ ბ-ნ ბუში ოფიციალურად ამბობს, ომამდე ერთ-ორ კვირაში ჩემ ოფისში ჩამოსულ ბ-ნ ბაიდენს ვთხოვეო, ეცადეო, ეს ომი ავიცილოო, ბ-ნ ბაიდენ, ეს ომი ავიცილოო, ეს ომი ავიცილო

რას არ გაიგონებ!..

გამონათქვამებზე

წნეხის, ამერიკის დიქტატის ქვეშ იმყოფებიან, ამაზე თავად ბუნდესტაგის წევრები ლაპარაკობენ. და, თუ გერმანია თავს ასე დამცირებულად გრძნობს, მაშინ ჩვენ, ყველაფრით სხვაზე დამოკიდებული, გაღატაკებული ქვეყანა, რომელსაც ერთი ნაბიჯიც ვერ გადაგვიდგამს „კონსულტაციების“ გარეშე, რომელსაც თავი მხოლოდ იმით მოგვაქვს, რომ „ნატოს“ მიერ წამოწყებულ ომებში ყველაზე მეტ ქართველ ბიჭებს ვაგზავნით, რომელ დამოუკიდებლობაზე ვლაპარაკობთ, სულ დავკარგეთ რეალობის აღქმის უნარი?!

ახლა, „ანალიტიკურად“ ნააზრევის ეთიკურ მხარეზეც შევჩერდეთ. ყველა კულტურულ ადამიანს ესმის, რომ არ შეიძლება შეურაცხყოფა მიაყენო სხვას მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სხვა, უფრო სწორად სხვები, მილიონები(!), შენთვის აბსოლუტურად მიუღებელი პოლიტიკური შეხედულებისანი არიან. ისიც ცნობილია, რომ შეურაცხყოფაზე მაშინ გადადიან ხოლმე, როდესაც ოპონენტების არგუმენტებზე კონტრარგუმენტები არ გააჩნიათ.

ლაგაზიძე (და არა მარტო ის) რუსეთთან ნორმალური, მეზობლური ურთიერთობის აღდგენის მომხრეებს კი არ გვაყენებს შეურაცხყოფას მხოლოდ, არამედ ყველა იმ ერს – ჩვენ მეზობელს თუ არამეზობელს, ვისაც კარგი (ნორმალური) ურთიერთობა ჰქონდა და დღესაც აქვს რუსეთთან, და, რომელი ერებიც ამ „მონობით“ მხოლოდ სარგებელს ნახულობენ – ეკონომიკურსაც, კულტურულსაც და პოლიტიკურსაც. პოლიტიკაში ძალიან „ჩახედულის“ მეტი არავინ იტყვის, რომ დასავლეთის მიერ „ევროპის უკანასკნელ დიქტატორად“ შერაცხული ლუკაშენკოს ბელარუსი და ბელარუსი ხალხი არათავისუფალნი და რუსეთის მონები არიან, ხოლო იმავე დასავლეთის მიერ „დემოკრატიის შუქურად“ წოდებული სააკაშვილის საქართველო და ქართველი ხალხი კიდევ – დამოუკიდებელნი და თავისუფალი, ამერიკა-ევროპის თანასწორუფლებიანი პარტნიორნი!

იმ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ხელისუფლების ადგილზე რომ ვიყო, ვისაც ნორმალური კულტურულ-სავაჭრო-სამხედრო-პოლიტიკური კავშირები აქვთ რუსეთთან, ლაგაზიძისთანა რუსოფობებს ამგვარი გამონათქვამების გამო არასასურველ ადამიანებად მივიჩნევდი და ფეხის დადგმის ნებასაც არ მივცემდი „მონობის“ მომხრე ხალხების მიწაზე.

ლაგაზიძის აზრით, ჩვენი ამჟამინდელი დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად და რუსეთის აგრესიისგან დასაცავად აუცილებელია ჩვენი გაწევრება „ნატოში“, და რომ ეს არის ერთადერთი ხსნა, ერთადერთი გზა ჩვენი გადარჩენისა. თითქოს, რა არის ამ მოსაზრებაში მიუღებელი. ჩვენი, უფრო სწორად, ლაგაზიძის იმედები ხომ „ნატოს“ წესდების მეხუთე პუნქტით არის გამყარებული – აგრესიის შემთხვევაში „ნატო“ ვალდებულია, დაიცვას თავისი წევრი-სახელმწიფო. კონკრეტულად, ჩვენ ვისგან უნდა დაგვიცვას? ამ მიამიტურ კითხვაზე ნამდვილად გაიღიმებენ რუსოფობი ექსპერტები – ცხადია, რუსეთისგან, რომელსაც ოკუპირებული აქვს ჩვენი ტერიტორიის 20 % ! თურქეთისგანაც? ეს უადგილო კითხვა ხომ უკვე მეორედ გააღიმებს ლაგაზიძისნაირ ექსპერტებს – გეკადრებათ ამ კითხვის დასმა? ამგვარ კითხვას ხომ მხოლოდ რუსეთის მონები სვამენ – თურქეთი ჩვენი „ისტორიული მეგობარია“, 25 წელია კი – „სტრატეგიული პარტნიორიც“!

კიდევ ერთი კითხვა უნდა დავუსვა რუსოფობებს: დავუშვათ და, გაგვითენდა „ბედნიერი“ დღე და რაღაც სასწაულებით „ნატოში“ მოვხვდით. მეორე დღეს კი, თურქეთმა აჭარა-სამცხე-ჯავახეთ-გურიის ოკუპაცია რომ მოახდინოს (თუ, რა თქმა უნდა, გაცილებით ადრე, არ წამოიწყო ეს აგრესია) და აფხაზეთ-სამაჩაბლოს გარეშე დარჩენილი საქართველოს ტერიტორიაც ორად გაგვიყოს, ვისი იმედი უნდა გვქონდეს, ნატოსი?! მერე „ნატო“ ჩვენ დაგვიჭერს მხარს და თურქეთს გაანაწყენებს?! „ნატოს“ მხრიდან გაცვეთილი „შეშფოთების“ გამოხატვა და ნეიტრალური პოზიციის დაკავება, ანუ, ფაქტობრივად, თურქეთის წახალისება უფრო რეალური ხომ არ იქნება? გამორიცხულია მსგავსი ვარიანტი, თუ, პირიქით, სწორედ ასეთი ვარიანტია ყველაზე მოსალოდნელი? იქნებ, იმის იმედი აქვს ლაგაზიძეს, რომ თურქეთი ამას არ იკადრებს?! თავად თურქეთის ლიდერები დაუფარავად რომ საუბრობენ ამის შესახებ ეს მისთვის უცნობია?! ამაზე რატომ არ ამახვილებს იგი ყურადღებას თავის სატელევიზიო გამოსვლებში, უძნელდება პასუხის გაცემა?

რუსოფობი ანალიტიკოსებიდან პასუხს არც უპირველეს კითხვაზე არ იძლევა არავინ, თუ როგორ(!) უნდა მიგვიღონ „ნატოში“ მისი წესდების დაურღვევლად. ამისათვის ხომ 28-ვე წევრმა-სახელმწიფომ ერთხმად უნდა მოისურვოს ჩვენი მიღება (ეს საკმაოდ რთული იქნება, მაგრამ არა შეუძლებელი); არ უნდა გვქონდეს ტერიტორიული პრობლემები (ესეც მოგვარებადია – აფხაზეთ-სამაჩაბლოზე უარს თუ იტყვის ხელისუფლება. ხალხი? ხალხს ვინ ეკითხება რამეს!); სულაც, წესდების შეცვლა შეუძლია „ნატოს“ (თუ საჭიროება მოითხოვს) და ისიც დავუშვათ (რუსოფობებს პასუხი რომ გავუადვილოთ!), რომ „ნატოში“ მიწვევიდან მის სრულუფლებიან წევრად აღიარებამდე მინიმუმ ერთი წელი კი არ დაგვიწესონ (როგორც ეს მიღებულია დღეს და როგორც ჩერნოგორიას დაუწესეს ორი კვირის წინ), არამედ – მხოლოდ ერთი დღე. რა მოხდება მეორე დღეს? მეორე დღემდე მოცდა არ დაგვჭირდება, სულ რაღაც ორ-სამ საათში მთელი საქართველო რუსის ჯარის მიერ იქნება ოკუპირებული და, ადვილი შესაძლებელია, პუტინი ქუთაისურ ყაიდაზეც შეგვეხმიანოს: „არ დამიწყოთ ახლა, არ ვიცოდიო“, არ მეგონა ამას თუ გაბედავდა პუტინიო! მე ხომ გარკვევით გავაფრთხილე ყველა: რუსეთის საზღვრებთან „ნატოს“ არ გავაჭაჭანებ!

მაგრამ, მოდით, კიდევ უფრო გავუადვილოთ საქმე რუსოფობ ექსპერტებს და ასეთი სცენარი შევთავაზოთ მათ (ფანტაზიის სფეროდან, ცხადია!): დავუშვათ და, პუტინის რუსეთს სულ „გამორჩა“ „ნატოს“ გადაწყვეტილება ჩვენი მიღების თაობაზე (ან, პუტინის ნაცვლად გორბაჩოვის ან ელცინისნაირი რუსეთის დამანგრეველი პრეზიდენტი აირჩიეს და ისიც დაყაბულდა საქართველოს გაწევრებას „ნატოში“) და, „ნატომაც“ დაასწრო რუსეთს ჯარის შემოყვანა თურქეთიდან, თან რაკეტებიც მოაყოლა, რუსეთმა კი „ჩაისვარა“ და ჩვენ დასაპყრობად ნაბიჯის გადმოდგმაც ვეღარ გაბედა (ასეთი აბსურდული ვარიანტის იმედი თუ აქვთ შორსმჭვრეტელ რუსოფობ ანალიტიკოსებს. აბა, სხვა ვარიანტი ჩვენი „ნატოში“ მოხვედრისა არ არსებობს!), „ნატოს“ ეგიდით შემოსული თურქების შემდეგ როგორ განვითარდება მოვლენები?

როგორ ჰგონიათ ამ ანალიტიკოსებს – რუსეთის უღელქვეშ მგმინავ ქართველებს, რომლებიც დამპყრობ რუსებზე უკეთესად ვცხოვრობდით და, რომლებმაც ენაც შევინარჩუნეთ, სარწმუნოებაც და დემოგრაფიული საფრთხეც ავიცილეთ, თურქეთის უღელქვეშაც იგივე მოგველის თუ „ცოტათი“ უარესი? ვითომ ძნელი წარმოსადგენია? მით უფრო, ლაგაზიძეს ხომ მოვლენების წინასწარ განჭვრეტაც ეხერხება, როგორც თავად ამბობს: **„უდიდესი სიამოვნებაა, როდესაც შენი ანალიზით მიდიხარ იმ ჭეშმარიტებამდე, რომლის დანახვაც ვერ შეძლო თუნდაც შენმა ვერც ერთმა კოლეგამ, როდესაც შეგიძლია წინასწარ დაინახო პოლიტიკური პროცესები როგორც შენ ქვეყანაში, ისე მსოფლიოში. თუ არასასურველი პროცესების პრევენციის გზებიც დასახე, ეს ხომ იდეალურია“.** დავიჯერებდი ლაგაზიძის ყოველ სიტყვას, ორი რამ რომ არ მიშლიდეს ხელს: „ნატოში“ თავის შეყოფის მცდელობის შემთხვევაში რა მოგველის რუსეთისგან, ან „უკეთეს“ ვარიანტში – „ნატოში“ მიღების შემდეგ რა მოგველის თურქეთისგან. აი, ეს ვერ უწინასწარმეტყველებია გამოცდილ ანალიტიკოსს და, როგორ დავიჯერო, რომ იგი მსოფლიოში(!) მოსახდენ პოლიტიკურ პროცესებს ხედავს წინასწარ და სწორად!

პოლიტოლოგ-ექსპერტების მიერ „ნატოსთან“ დაკავშირებით მრავალჯერ გამოთქმული მოსაზრებების (შიშებისაც!) მიუხედავად (მათ შორის, რამდენჯერმე ჩემს მიერაც), სამწუხაროდ, „ნატოფილებს“ არც ერთხელ არ უცდიათ წყნარად და აკადემიურად, და არა ზოგადი, არაფრისმთქმელი ფრაზებით, აეხსნათ (ტელევიზიით და წერილობითაც პრესაში) თუ რას წარმოადგენს „ნატო“, რატომ და როგორ უნდა გავწევრიანდეთ მასში, მხოლოდ სარგებელს მოგვიტანს იგი თუ სერიოზული საფრთხის შემცველიც არის; არ მახსოვს მათ (რომელიმეს!) ფაქტების(!) მოშველიებით მოეთხროთ ამ ბლოკის მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში დემოკრატიის დასამყარებლად, დიქტატურის და ტერორიზმის წინააღმდეგ ჩატარებული (უკანასკნელი 15-16 წლის მანძილზე მაინც) სამხედრო ოპერაციების შესახებ – რამდენი წელი გრძელდებოდა და დღესაც თუ გრძელდება ეს ოპერაციები, რა მსხვერპლი და შედეგები მოჰყვა ამ მაღალი იდეალებისთვის ბრძოლას – დაემხო დიქტატურა და დამყარდა „ნანატრი“ დემოკრატია, თუ პირიქით, ქაოსმა და სამოქალაქო ომებმა მოიცვეს ქვეყნები; წარმატებით დასრულდა ტერორიზმთან ბრძოლა და განადგურდა ტერორისტული ორგანიზაციები, თუ პირიქით, ტერორისტული აქტები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა მთელ მსოფლიოში; ამოისუნთქეს, შვება იგრძნო ხალხმა, თუ პირიქით, ცრემლი არ შეშრობიათ სახეზე; აშენდა და აყვავდა მათი სახელმწიფოები, თუ, პირიქით, დაიქცა და გაპარტახდა.

ნუთუ ძნელი უნდა იყოს ამ კითხვებზე პასუხის გაცემა? რა თქმა უნდა არა. თუმცა, გააჩნია ვისთვის! „ნატოფილებისთვის“ ძალიან ძნელია, პრაქტიკულად, შეუძლებელი! სამაგიეროდ, ადვილია ოპონენტებისთვის იარლიყების – „რუსეთუმეების“, „რუსეთის აგენტების“ და „რუსეთის მონების“ მიწებება. „რუსოფობ ნატოფილ“ „ექსპერტ-ანალიტიკოსებს“ სხვა გზა გარდა ლანძღვა-გინებისა, არ დარჩენიათ, ფაქტებში და არგუმენტებში მათ მაგრად ეჭედებათ !

ლაგაზიძის ანალიტიკოსობაზე სრული წარმოდგენისთვის, აუცილებელია ორიოდე წლის წინათ ნათქვამი მისი სიტყვები მოვიყვანო: „სამი კვირით მივემგზავრები შტატებში. უნიკალური შანსი მომცა ამერიკის საელჩომ და სახელმწიფო დეპარტამენტმა ჩავიდე უშიშროების საბჭოში, სახელმწიფო დეპარტამენტში, კონგრესში, სადაც იქნება ძალიან ბევრი და საინტერესო შეხვედრა“ (ჰმ, სამკვირიან საქმიან გასეირნებას ამერიკაში „ეროვნული ინტერესების დამცველი“ პოლიტიკოს-პოლიტოლოგ-ანალიტიკოსი თუ დაიმსახურებს მხოლოდ! – **ი. ლ.**). **„ეს არის არაჩვეულებრივი შანსი, რომ ამ არამყარი და ობობას ქსელივით ჩახლართული გეოპოლიტიკური ვითარების არა მხოლოდ გულში, თავშიც ჩაიხედო** (აბა რა! იმდენად გულღია ხალხია სახელმწიფო დეპარტამენტში, რომ ყველაფერს დაწვრილებით ჩაგიკაკლავენ, რა გეგმები იხარშება მათ თავში, იმაშიც ჩაგახედებენ, მე თქვენ გეტყვით და, დასამალი აქვთ რამე, თუ რა! – **ი. ლ.**) **და სწორი გასაღები მონახო“.**

როცა ანალიტიკოსი 23-წლიანი სტაჟით, იმის იმედით წავა ამერიკაში, რომ სახელმწიფო დეპარტამენტში გავლა-გამოვლით, თუნდაც, სენატორ-კონგრესმენებთან შეხვედრებით, „ჩახლართული გეოპოლიტიკური ვითარების გულშიც ჩაიხედავს, თავშიც(!) და სწორ გასაღებსაც მონახავს“ (ოღონდ უცნობია, რის გასაღებს – „ნატოში“ შესასვლელს, რუსეთის დასაშლელს თუ მომავალ არჩევნებში გასამარჯვებელს?), ის ანალიტიკოსი ნამდვილად ღირსია... ამჟამინდელ(!) პარლამენტში იჯდეს. ვის გვერდით? ეგ რა პრობლემაა, თავად აირჩევს, – 2004 წლიდან მოყოლებული რუსოფობი „ექსპერტები“, ნაციონალების და „ინტელექტუალი“ რესპუბლიკელების სახით, თავზე საყრელად გვყავს საქართველოს პარლამენტში!

იაკობ ლეჟავა,
9 დეკემბერი, 2015

P. S. მე არ ვფიქრობ, და ნურც ნურავინ იფიქრებს, რომ ნატოფილი რუსოფობი ანალიტიკოსები ვერ ხედავენ (ან, საქმის კურსში არ არიან) და ვერ აანალიზებენ იმ მოვლენებს, რაც დღეს მსოფლიოში ხდება, ამის დაჯერება, უბრალოდ, შეუძლებელია. ყველა ყველაფერს მშვენივრად ხედავს და არც ლოგიკური დასკვნების უნარი აქვთ მათ სხვაზე (ანუ ჩვენზე – ჩემისთანებზე) ნაკლები! აქ სულ სხვა რამესთან გვაქვს საქმე, საკმაოდ ადვილად მისახვედრთან. ამ ხალხის აშკარა პრო-ამერიკული („ხბოს აღტყინებამდე“ მისული) და აშკარა ანტირუსული (ოპონენტების შეურაცხყოფამდე მისული) რიტორიკა მხოლოდ ერთი რამით არის განპირობებული. მათ კარგად იციან, რომ „დამოუკიდებელ“ საქართველოში (ისევე, როგორც უკრაინაში) სახელისუფლებო კადრების საკითხი პოტომაკის ნაპირებზე წყდება, და არა – ადგილზე ან კრემლში. ისიც კარგად იციან, რომ ყველაზე „დოსიე“ არის შედგენილი – ვინ რა თქვა, რა დაწერა, რა პოზიციაზე დგას და ნებისმიერი ადამიანის მიერ, მით უფრო, ცნობადი სახის მიერ აქ დაფიქსირებული ანტირუსული პოზიცია (მაგ., თურქეთის მხარდაჭერა რუსეთის თვითმფრინავის ჩამოგდებასთან დაკავშირებით) შეუმჩნეველი არ დარჩებათ იქ(!), და არც – დაუფასებელი. თავსაც თუ გამოიჩენენ – სხვებს აჯობებენ რუსეთის და რუსეთის მომხრეების ლანძღვა-გინებაში (ამ კუთხით კონკურენცია დიდია!), მაშინ „რჩეულებს“ ოკეანისგაღმაც მიიწვევენ გასაუბრებაზე, შეხვედრებს რომ უწოდებენ! და, თავიანთ ურყევ ლოიალობაშიც თუ დაარწმუნებენ მასპინძლებს, მაშინ ხელისუფლებაში მოსვლაც გარანტირებული ექნებათ ახლო მომავალში! მათი ერთადერთი მიზანიც ეს არის!

ი. ლ.

დიახ, მიხეილ სააკაშვილი მართალია! ვერც წაართმევენ იმას, რაც არ ჰქონია!

ცამდე მართალია და მეც ვეთანხმები.

რატომ და რაში?

სანამ ამას გეტყოდეთ, მცირე შესავალი.

პოეტი ზოგჯერ ერთი პწკარია,
ყაყაჩოსავით ცხელი სტრიქონი, —

წერდა უდროოდ გარდაცვლილი ახალგაზრდა პოეტი ლაშა გახარია და იყო ცამდე მართალი.

ცამდე, რადგან უფრო ზევით ღმერთია.

ერთ სტრიქონში ამოიცნობაო პოეტი, ერთი სტროფი გეტყვითო, ვინ არის ვინ და რას წარმოადგენს როგორც შემოქმედი, კაცი, ადამიანი, ბოლოს და ბოლოს.

ლაშას ერთი ლექსის ერთი სტროფი („ერთი პწკარი“), თუნდაც, მხოლოდ ერთი მაგალითი, ადასტურებს ამ მეტაფორული ფორმულის ჭეშმარიტებას:

აქ სხვა რიდია, აწ და მარადის
აქ დაუჩოქა პირჯვარს ნამაზმა,
და მზეც რიდით და მადლით გადადის,
ვით თავზე გამდლის ხელის გადასმა.

მაღალი სულიერება, რწმენა, მორიდება, სითბო და ჭეშმარიტი პოეზია — აქ ამ ერთ სტროფში აკუმულირდა მისი მთელი შემოქმედება, როგორც სამყარო წყლის ერთი წვეთის სიანკარეში.

ახლა დიდი პოეტის ბრწყინვალე სტროფების კრიალოსანი ვაგოგმანოთ ხელი-ხელ... გადაშალეთ რეზო ამაშუკელის ლექსების ნებისმიერი კრებული და ამოხეთქავს სიტყვის თვალ-მარგალიტის უკვდავების წყარო, ალიტერაციის ძვირფასი ქვები:

... და ქსოვს სიჩუმეს ობობა
ვერცხლისფერ ყაისნაღებით...

ან:

ახურვებს ხვატი ხვავრიელ ყანებს...

ან, თუნდაც, ეს თვალის გასწორება თვალისმომჭრელი ჩამავალი მზისთვის:

მწიფს მოწითალო ღრუბელი ცაზე,
მზე დაბლა იწევს
და წყნარად ჩადის...
ბეთანიისკენ მიმავალ გზაზე,
აღარ ბრდღვიალებს
ველური ვარდი.

და ასე შემდეგ, თითოეულ გვერდზე და სრულად ამაშუკელის შემოქმედებაში.

დიდმა ბატონმა ჭაბუა ამირეჯიბმა ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა: **საკმარისია, უცნობი პროზაიკოსის წიგნის თუნდაც ერთი გვერდი წავიკითხო, რომ გავიგო, რა მწერალიაო.**

ჰოდა, წარმოთქვა ახლახან ერთი წინადადება ტელეეკრანიდან ოდესის კეთილდღეობისთვის დამაშვრალმა ღუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევის საშიშროების წინაშე რეალურად დადგა, და გაიყიდა: „ჩემს ქართველობას ვერავინ წამართმევს!“

აპლომბით და თავდაჯერებით განაცხადა. ამ ცრუ ცოტნემ და ტყუილმა დავით აღმაშენებელმა.

მაგრამ მართალი თქვა, რადგან ვერ წაართმევენ მიშას იმას, რაც არა აქვს და არასოდეს ჰქონია:

ქარ-თვე-ლო-ბას!

ერთი წინადადება, როგორც ლაკმუსის ქაღალდი!

დანარჩენზე თქვენ იმსჯელეთ, მე კი ვეთანხმები.

იმ ყოფილმა თავისი თავი თვითონ იდარდოს. ჩვენ იმ ერთ შხამიან წინადადებას მივხედოთ, რომელიც ქართულ საზოგადოებრივ აზრს კიბოს მეტასტაზივით მოედო. ჯოჯო და უბედურება: **„ბიძინა ივანიშვილმა მიშა კი მოგვაცილა, მაგრამ წინასაარჩევნო დაპირებები არ შეგვისრულა“.**

ახლა ყური დამიგდეთ, ერთ ანეკდოტს შეგახსენებთ:

ქრისტე ღმერთამდე მიაღწია ხმებმა, რომ ხალხი ღვთის რწმენას კარგავს. გადაწყვიტა - ჩავალ დედამიწაზე და სასწაულებით დავარწმუნებ, რომ ღმერთი არსებობსო.

ჩავიდა.

ვერ გეტყვით, რა რეკლამითა და როგორი მანქანებით, მაგრამ ხალხში დაირხა ხმა, რომ აქა და აქ ერთი ექიმია, რომელიც ყველა ავადმყოფობას არჩენსო.

დადგა რიგი ქრისტე-ექიმთან, როგორც ერთ დროს კატრექსით კიბოს მკურნალ ექიმ გაჩეჩილაძის კართან დგებოდა ყოველდღიურად, ან კიევიდან თბილისში საგასტროლოდ ჩამოსული ექსტრასენს-ჰიპნოტიზიორ კაშპიროვსკის სეანსებზე იკრიბებოდა.

პირველი ხელფეხწართმეული პაციენტი მიუყვანეს, ინვალიდის ეტლით შეაგორეს.

ციტატა ახალი აღთქმიდან:

„აბა, მიუყვანეს მას ლოგინად ჩავარდნილი დავრდომილი...

ხოლო რათა იცოდეთ, კაცის ძეს დედამიწაზე აქვს ცოდვების მიტევების ხელმწიფება, — ასე უთხრა დავრდომილს; ადექი, აიღე შენი საწოლი და წადი შენს სახლში.

ისიც წამოდგა და წავიდა სახლში“.

(მათ. 9, 2-6).

ასე უთხრა იესომ, რომელიც ცოდვილ დედამიწაზე უკვე ჩვენს დროში ჩამოვიდა, იმ დავრდომილს, რომელიც მიუყვანეს: ადექი და წადი შენს სახლში.

წამოდგა ის დავრდომილი, წამოდგა კი არა, წამოხტა და გახარებული ისე გავარდა მისაღებში, მადლობის

თქმაც კი დაავიწყდა მკურნალისთვის.

გარეთ მყოფი ხალხი შემოეხვია, რაო, რა მოხდა, როგორ გიშველაო?

— ესეც ისეთი ექიმია, როგორიც ყველა დანარჩენი: წნევაც არ გამიზომაო...

სჭირდება ამ გადამკვეთ უმადურობას კომენტარი?

არმაზ სანეგლიძე

დედამიწის ზურგზე

მოლდოვაში „ჩვენი პარტიის“ აქტივისტებმა პრეზიდენტის რეზიდენციის პიკეტირება მოაწყვეს

14 დეკემბრის ღამით პროტესტის მონაწილეები მივიდნენ პრეზიდენტ ნიკოლაე ტიმოფტის რეზიდენციის კარებთან კონდრიცში. მათ დაანთეს კოცონები, მღეროდნენ სიმღერებსა და ისროდნენ ლოზუნგებს პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით. აქციის მონაწილეები გვპირდებიან, გააგრძელონ აქცია ორშაბათსაც.

რუსეთის ფედერაციის შემოსავლები იარაღის გაყიდვიდან ერთნახევარჯერ გაიზარდა, მიუხედავად სანქციებისა. დასავლელი მწარმოებლები ზარალს განიცდიან

იმ 11 რუსული კომპანიის შემოსავლები, რომლებიც არიან იარაღის ყველაზე დიდ მწარმოებელთა ასეულის სიაში, გასული წლის განმავლობაში თითქმის 50 პროცენტით გაიზარდა. დასავლეთის სანქციებმა ამ მიმართულებით სრულიადაც არ შეუშალეს მათ ხელი. უფრო მეტიც, გაყიდვების შემცირება დაფიქსირებულია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის კომპანიებში.

საუდის არაბეთში პირველ არჩევნებში ქალების მონაწილეობით 20-მა კანდიდატმა გაიმარჯვა

გამარჯვებულები თვითმმართველობის მუნიციპალურ ორგანოებში საერთო რიცხვის მხოლოდ ერთ პროცენტს შეადგენენ (სულ მათი რაოდენობა დაახლოებით 2,1 ათასია). მიუხედავად ამისა, თავად ფაქტი ქალების ყოფნის შესახებ ხელისუფლებაში შეფასებულია, როგორც დიდი ნაბიჯი წინ სახელმწიფოსთვის, სადაც ქალთა უფლებები დღემდე მეტად შეზღუდულია.

ანგელა მერკელი „THE FINANCIAL TIMES“ ვერსიით წლის ადამიანი გახდა

გაზეთის რედაქციამ გერმანიის კანცლერს მიანიჭა საპატიო წოდება ღია საემიგრაციო პოლიტიკის გამო. თუ იგი წარმატებით დაგვირგვინდება, მერკელი შევა ისტორიაში, როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი კანცლერი, ნათქვამია გაზეთის სტატიაში. ამავე დროს გამოცემის რედაქცია შეგვახსენებს, რომ მერკელის საიმიგრაციო პოლიტიკამ ბევრი კრიტიკა გამოიწვია.

კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში პირველად 25 წლის განმავლობაში გაიმართა საფინანსო თათბირი

მეთვალყურეების აზრით, ეს შეიძლება მოწმობდეს ფულადი რეფორმისათვის მომზადებას. უკანასკნელად ასეთი თათბირი ჩრდილოეთ კორეაში 1990 წლის სექტემბერში გაიმართა ქვეყნის პირველი პრეზიდენტის კიმ ირ სენის სიცოცხლეში.

თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მატვიენკოს ესაუბრა „გულწრფელად“

ფედერაციის საბჭოს სპიკერმა ვალენტინა მატვიენკომ ადრე განაცხადა, რომ მევლიუტ ჩაუშოღლუ მივიდა მასთან სალაპარაკოდ — „ნეიტრალიტეტის პოლიტიკა: საერთაშორისო თანამშრომლობა მშვიდობის, უშიშროებისა და განვითარების სახელით“ აშხაბადში — კონფერენციის კულუარებში. ფედერაციის საბჭოს ხელმძღვანელმა დაუმატა, რომ მას აქვს მჭიდრო გრაფიკი და არანაირი ოფიციალური მოლაპარაკება გეგმაში არ ჰქონია.

გერმანია არ აპირებს, გააფართოვოს კონტინგენტი კოალიციაში ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ, განაცხადა მერკელმა

„მიმაჩნია, რომ გერმანია ასრულებს ვალდებულებათა თავის ნაწილს და რომ ჩვენ ამჟამად უნდა ვისაუბროთ ახალი საკითხების შესახებ ამ დღეებში“, — განაცხადა გერმანიის ფედერაციული რესპულიკის კანცლერმა ტელეეთერში. ადრე იტყობინებოდნენ, რომ პენტაგონის ხელმძღვანელმა ეშტონ კარტერმა მიმართა თავის გერმანელ კოლეგას ურსულა ფონ დერ ლიაიენსს წინადადებით ახლო აღმოსავლეთში გერმანული კონტინგენტის გადიდების შესახებ.

◎ ინფორმაცია

ჯონდი ბაღათურია რუსეთთან ურთიერთობის გზებს აგვარებს

„ძართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ რუსეთში ვიზიტის შედეგები შეაჯამა და განაცხადა, რომ საქართველოში იანვრის ბოლოს, რუსეთის სამეკავშირეო ოფისი ამოქმედდება. ამის შესახებ ბაღათურიამ „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში განაცხადა.

„ეს შეთანხმება შედგა რუსეთის საგარეო პოლიტიკის საბჭოში, სადაც წარმოდგენილი არიან ძალიან ძლიერი პოლიტიკოსები, ექსპერტები, კოორდინაციას ამ თემას გაუწევს ანდრეი კურატოვი, რომელიც გახლავთ გენერალური დირექტორი. რუს კოლეგებთან შევთანხმდით, რომ შეიქმნება რუსულ-ქართული სამუშაო ჯგუფი, რომელიც რუსეთსა და საქართველოს შორის სამეკავშირეო ურთიერთობების აღდგენის პროექტზე იმუშავებს. ასევე მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ რუსეთში გაიხსნას საარჩევნო უბნები საპარლამენტო არჩევნებისთვის, რასაც სწორედ ქართული დიასპორა მოითხოვს. მათ უნდა ჰქონდეთ უფლება, აირჩიონ ისეთი ხელისუფლება, რომელიც არ გამოირჩევა რუსეთის დასჯის რიტორიკით. ჩვენ ასევე გადავწყვიტეთ, რომ საქართველოშიც და რუსეთშიც მოვახდინოთ ჯანსაღი ძალების კონსოლიდაცია და სწორედ ამ მიზნით, გაიხსნას რუსეთის სამეკავშირეო ოფისი. საქართველოში წარმატებით მუშაობს ნატოს სამეკავშირეო ოფისი. ჩვენ მათთან გვაქვს დიალოგი, კონსულტაციები და მიგვაჩნია, რომ ვიდრე ხელისუფლება დაკომპლექსებულია დასავლური შიშებით, ჩვენ გამოვიჩინოთ ინიციატივა“, — განაცხადა ჯონდი ბაღათურიამ.

ХО-ЭОВ-ЭЕО

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

აღმოსავლეთ–დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის კორიდორის გაუმჯობესების პროექტი
სესხის/კრედიტის № არ არის განსაზღვრული
პროექტის No.: P149952

დავალების სახელწოდება: E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის (რიკოთის გვირაბის აღმოსავლეთ პორტალის მონაკვეთი) სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა (I ლოტი - კმ0 -კმ5+800) (II ლოტი - კმ5+800 - კმ14+066)

კონტრაქტი/ RFP No: EWHCIP/CS/QCBS-01
საიდენტიფიკაციო No: EWHCIP PP, საკონსულტაციო მომსახურება, პუნქტი №1.1

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **აღმოსავლეთ–დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის კორიდორის გაუმჯობესების პროექტისთვის**. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **" E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის (რიკოთის გვირაბის აღმოსავლეთ პორტალის მონაკვეთი) სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა (I ლოტი - კმ0 -კმ5+800) (II ლოტი - კმ5+800 - კმ14+066)".**

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ აღნიშნული მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესთა გამოხატვის წერილს თან უნდა დაერთოს შემდეგი: კონსულტანტის კორპორატიული პროფილი და შესაბამისი გამოცდილება დავალებასთან მიმართებაში, ძირითად თანამშრომელთა კვალიფიკაცია და გამოცდილება.

შერჩევის საკვალიფიკაციო კრიტერიუმებია:

- ზოგადი გამოცდილება საგზაო ინფრასტრუქტურულ პროექტებში;
- მსგავსი გამოცდილება ავტომაგისტრალის მშენებლობის ზედამხედველობის დავალებებში ბოლო 5 წლის განმავლობაში (დავალებები დასრულებული 2011 წელს ან მას შემდეგ).

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 48 თვე (I ლოტის მშენებლობისთვის 24 თვე+12 თვე დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი, II ლოტი – 36 თვე+12 თვე დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი).

დავალების ტექნიკური დავალების ჩამოტვირთვა შესაძლებელია ქვემოთ მითითებული ლინკით:
https://www.dropbox.com/s/to7xacwzl9519xb/Terms%20of%20Reference%20for%20Supervision%20of%20Zemo%20Osiauri-Rikoti%20Tunnel%20as%20advertised.pdf?dl=0

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში, "კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთაინდნენ კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას №1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე:
http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება "კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპებში" (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში) მოცემული კვალიფიკაციისა და ღირებულების მიხედვით შერჩევის მეთოდის თანახმად.

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვა წერილობითი სახით წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე (პირადად, ფოსტის, ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით) არაუგვიანეს **2016 წლის 2 თებერვლის, 17:00 საათისა.**

საკონტაქტო პირი: ვახტანგ რაზმაძე
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტმობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი
მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო
ელ. ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia

East-West Highway Corridor Improvement Project (EWHCIP)
Credit/Loan No: TBD
Project No. P149952

Assignment Title: SUPERVISION OF CONSTRUCTION WORKS FOR UPGRADING E-60 HIGHWAY ZEMO OSIAURI – CHUMATELETI (Rikoti Tunnel East Portal section) (Lot-1 - km0-km5+800) (Lot-2 - km5+800-km14+066)

Contract/RFP No: EWHCIP/CS/QCBS-01
Reference No. EWHCIP PP, Consultant Service, Item No.1.1

Georgia has received parallel financing from the World Bank and European Investment Bank towards the cost of the **East-West Highway Corridor Improvement Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project, which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consultants to express their interest in providing the following services: **"SUPERVISION OF CONSTRUCTION WORKS FOR UPGRADING E-60 HIGHWAY ZEMO OSIAURI – CHUMATELETI (Rikoti Tunnel East Portal section) (Lot-1 - km0-km5+800) (Lot-2 - km5+800-km14+066)"**

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project activities, key staff resources and qualification, corporate profile.

The selection criteria are:

General experience in road infrastructure projects;
Similar experience in Supervision of Highway Construction Assignments during last 5 years (assignments completed in or after 2011);

Estimated duration of assignment is 48 months (24 months + 12 month DLP for Construction of Lot I, 36 months + 12 month DLP Lot II).

The Terms of Reference for the subject assignment can be downloaded from the following link:
https://www.dropbox.com/s/to7xacwzl9519xb/Terms%20of%20Reference%20for%20Supervision%20of%20Zemo%20Osiauri-Rikoti%20Tunnel%20as%20advertised.pdf?dl=0

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association (***Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association)*** to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on www.georoad.ge on the following link:
http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

The Consultant will be selected under Quality and Cost-based Selection method set out in the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers, January 2011 - Revised July 2014 ("Consultant Guidelines").

Interested consultants may obtain further information by email: info@georoad.ge

Expressions of Interest electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than **February 2, 2016, 17:00 hours.**

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Division of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

◎ კვამლი უცვლელად არ ჩნდება

ღყალი არ უნდა აიმღვრეს!

რაგბი საქართველოში სპორტის ყველაზე წარმატებული სათამაშო სახეობაა და მის ნაწილად ყოფნა, ალბათ, ყველასათვის უდიდესი პატივია. ამავდროულად, ესაა სპორტის სპეციფიკური სახეობა, გამორჩეული თავისი მიდგომებით, დაუწერელი წეს-ჩვეულებებით და მასში გარეშე პირების მხრიდან ცხვირის ჩაყოფა კატეგორიულად მიუღებელია.

ეს მიუღებელია როგორც თავად მორაგბეებისთვის და მასში ჩართული ადამიანებისთვის, ასევე გულშემატკივრებისთვის. მიზეზი მარტივია – რაგბი ფაქტობრივად ერთადერთია, რომელმაც ბოლო 25 წლის განმავლობაში ამ დუხჭირ ქვეყანაში თვითმყოფადობა შეინარჩუნა. ყოველ შემთხვევაში, გარედან ყოველთვის ასე ჩანდა და ის კონფლიქტებიც, რომლებიც მის შიგნით პერიოდულად ჩნდებოდა, წმინდად რაგბულად, ხელის ჩამორთმევით სრულდებოდა.

20 დეკემბერს დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების წინ საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობის განცხადებამ გააჩინა ეჭვი, რომ გარკვეული დაძაბულობა ახლაც შეინიშნება და არის მცდელობები შიდა პროცესებში გარეშე პირების ჩარევისა. გამგეობის ყველა წევრი ერთხმად ადასტურებს, რომ ეს განცხადება არა რაიმე კონკრეტული ქმედების, არამედ პრევენციის მიზნით გაკეთდა, რათა ვინმეს ჩარევის სურვილი არ გაუჩნდეს და ამ პათოსს პრეზიდენტობის კანდიდატებიც იზიარებენ.

„გამგეობის განცხადება ნიშნავს ერთადერთ რამეს – საზოგადოებისთვის შეხსენებას, რომ რაგბისთვის და სარაგბო თემისთვის უმთავრესია მისი ფასეულობები და ღირებულებები. ნებისმიერი საკითხი, გადაწყვეტილება, კამათი თუ უთანხმოება წყდება ქართული სარაგბო თემის შიგნით. ეს იყო ერთსულოვანი გადაწყვეტილება და განცხადებას ხელი გამგეობის ყველა წევრმა მოაწერა. არჩევნებს, რომელშიც ერთზე მეტი კანდიდატი მონაწილეობს, ყოველთვის ახლავს თან დაძაბულობა და ეს ბუნებრივია“, – ამბობს საქართველოს რაგბის კავშირის მოქმედი პრეზიდენტი და ერთ-ერთი კანდიდატი **გიორგი ნიჟარაძე.**

აღნიშნულს სოციალური ქსელის მეშვეობით გამოეხმაურა მეორე კანდიდატი, „ბორჯღალოსანთა“ ყოფილი კაპიტანი და სრკს მოქმედი სპორტული დირექტორი **ირაკლი აბუსერიძე:**

„დღესდღეობით ქართული რაგბი წარმატებასთან ასოცირდება. ბედნიერი ვარ, რომ 16 წლის ასაკში არჩევანი სწორედ სპორტის ამ ვაჟკაცურ და ღირსეულ სახეობაზე გავაკეთე. ამ პერიოდში ქართული რაგბი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იყო, თუმცა, ჩვენმა მორაგბეებმა ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ ქვეყანაში რაგბისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაზრდილიყო. საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები სამშობლოში ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული გუნდი გახდა. ამაყი ვარ, რომ სწორედ ამ გუნდის კაპიტანი 7 წელი ვიყავი, რაც ჩემთვის ორმაგად საპასუხისმგებლო იყო. კარიერის დასრულების შემდეგ რაგბის კავშირის სპორტული დირექტორის თანამდებობაზე გავაგრძელე მუშაობა. სწორედ ამ პერიოდში კიდევ უფრო მკვეთრად დავინახე ამ სფეროში არსებული ძირეული პრობლემები. მაშინ, როცა ქართული რაგბი საერთაშორისო ასპარეზზე ახალი გამოწვევების წინაშე დგას, ვთვლი, რომ ჩემი და ჩემი გუნდის გამოცდილება, რაც წლების განმავლობაში დაგვიგროვდა, ქართული რაგბის მომავალს უნდა მოვახმაროთ.

20 დეკემბერს ქართული სარაგბო ოჯახი კიდევ ერთხელ შეიკრიბება და გადაწყვეტილებას მიიღებს თუ ვინ უხელმძღვანელებს რაგბის კავშირს მომდევნო 4 წლის განმავლობაში. მინდა განვაცხადო, რომ ვემიჯნები საარჩევნო პროცესში ყველანაირ ჩარევას და ეს რაგბის კავშირის გამგეობის სხდომაზეც დავაფიქსირე. გამგეობის წევრებმა, მათ შორის მე, ოფიციალურ წერილზე ხელმოწერით დავადასტურეთ, რომ არჩევნები ჯანსაღ გარემოში უნდა ჩატარდეს. მაქვს იმედი, რომ საარჩევნო პროცესი რაგბის თამაშის მთავარი პრინციპების გათვალისწინებით - კეთილსინდისიერად ჩაივლის“ – წერია მის განცხადებაში.

მოკლედ, ჯერჯერობით ყველაფერი რაგბულად დალაგდა და იმედია, არჩევნებამდე, კონკრეტულად ამ დღეს და მისი დასრულების შემდეგაც, ასე გაგრძელდება. ერთი რამ ცხადია, კვამლი უცვლელად არ ჩნდება და არც ეს სტატია და არც გამგეობის განცხადება არ იარსებებდა, რაიმე კონკრეტული მიზეზი რომ არ ყოფილიყო. კარგია ყველაფერი დროულად თუ დალაგდება და ჩვენც 20 დეკემბრამდე და მის შემდეგაც უფრო მეტად ქართული რაგბის წარმატებაზე მოგვიწევს წერა და არა „ჭორაობაზე“, რომელიც მხოლოდ ქართული რაგბის მტრებს გაახარებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფალავნობა – 2015

ღვინიაშვილები პირველობას არ თმობენ

საქართველოს, თურქეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის, რუმინეთის, მოლდოვისა და ისრაელის მოჭიდავეები მონაწილეობდნენ „ფალავნობა-2015-ში“, რომელსაც წლეულს მესამედ უმასპინძლა ცირკის დარბაზმა. შეგახსენებთ, რომ 2013 წელს ამ პრესტიჟულ შეჯიბრებაში შიდაქართლელმა პაატა ღვინიაშვილმა გაიმარჯვა, შარშან ბექა ღვინიაშვილი ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, წლეულს კი ტიტული პაატა ღვინიაშვილმა დაიბრუნა, რომელმაც გამარჯვებისთვის დიდ დიღომში ბინა დაიმსახურა (შარშანწინ მას ჯილდოდ „ჯიპი“ ერგო). ფინალში მან ონისე ბუღაძეს მოუგო. ამ უკანასკნელს მეორე ადგილისთვის „მერსედესის“ მარკის ავტომანქანა გადაეცა, ხოლო გიორგი ბოლოთაშვილის მძლეველი მესამე პრიზიორი ლევან მატიაშვილი 3000 ლარით დაჯილდოვდა.

აბსოლუტურ წონით კატეგორიაში ორთაბრძოლების დაწყებამდე პრიზიორები ოთხ წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ (საერთო საპრიზო ფონდიდან მათ, შესაბამისად, სამი, ორი და ათასი ლარი გადაეცათ). 80 კილოგრამი წონითი კატეგორიის ფინალში გიორგი კაციაშვილმა სეხნია გიორგი პაპუნაშვილს ქულებით აჯობა. 90 კილოში პაატა ღვინიაშვილმა თავისივე რეგიონის წარმომადგენელი კახა გაზაშვილი დაჯაბნა - 5:0. 100 კილოგრამი წონითი კატეგორიის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა სტუმარი - სამბოში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი არსენ ხანჯიანი (რუსეთი). ფინალამდე მან ოთხ ქართველს აჯობა, გადამწყვეტ პაექრობაში კი სამბისტთა მოქმედ მსოფლიოს ჩემპიონ დავით ლორიაშვილს ქულებით მოუგო.

მძიმე წონის წინასწარი შეხვედრების მოულოდნელობა იყო ძიუდოში ევროპის ჩემპიონ ადამ ოქრუაშვილის მარცხი ლევან მატიაშვილთან. ამ უკანასკნელს საბოლოოდ მესამე ადგილი ხვდა, მთავარი პრიზი კი ფინალში გურამ თუშიშვილის მძლეველმა ონისე ბუღაძემ მოიპოვა.

კვარცხლბეკი

80 კგ. 1. გიორგი კაციაშვილი, 2. გიორგი პაპუნაშვილი, 3. კახა მამულაშვილი (სამივე – შიდა ქართლი).

90 კგ. 1. პაატა ღვინიაშვილი, 2. კახა გაზაშვილი (ორივე - შიდა ქართლი), 3. ზაურ მამარდაშვილი (კახეთი).

100 კგ. 1. არსენ ხანჯიანი (რუსეთი), 2. დავით ლორიაშვილი (ქვემო ქართლი), 3. იასონ ნემსაძე (იმერეთი).

მძიმე. 1. ონისე ბუღაძე (იმერეთი), 2. გურამ თუშიშვილი (თბილისი), 3. ლევან მატიაშვილი (კახეთი).

აბსოლუტური ფალავნობა: 1. პაატა ღვინიაშვილი, 2. ონისე ბუღაძე, 3. ლევან მატიაშვილი.

დავძენთ, რომ გამოვლინდა ტურნირის გამორჩეული არბიტრი – **ოთარ ყურაშვილი,** რომელსაც XX საუკუნის საუკეთესო მსაჯის, ოქროს სასტვენის მფლობელის შოთა ზუკაკიშვილის სახელობის პრიზი – 500 ლარი და ბროლის ლარნაკი შოთას ვაჟმა სოსო ზუკაკიშვილმა გადასცა.

ლექსო ცინცაძე

◎ ფეხბურთი

ევრო 2016-ის ჯგუფები ცნობილია

საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის კენჭისყრა გაიმართა. 24 გუნდი 6 ჯგუფში შემდეგნაირად გადანაწილდა:

A ჯგუფი: საფრანგეთი, რუმინეთი, ალბანეთი, შვეიცარია.

B ჯგუფი: ინგლისი, რუსეთი, უელსი, სლოვაკეთი.

C ჯგუფი: გერმანია, უკრაინა, პოლონეთი, ჩრდილოეთ ირლანდია.

D ჯგუფი: ესპანეთი, ჩეხეთი, თურქეთი, ხორვატეთი.

E ჯგუფი: ბელგია, იტალია, ირლანდია, შვედეთი.

F ჯგუფი: პორტუგალია, ისლანდია, ავსტრია, უნგრეთი.

რიგით მე-15 ევროპის ჩემპიონატი სტარტს 10 ივნისს აიღებს და 10 ივლისს დასრულდება. ევრო 2016-ს საფრანგეთის 10 ქალაქი უმასპინძლებს, ტურნირს კი საფრანგეთისა და რუმინეთის ნაკრებთა შეხვედრა გახსნის.

გიორგი ზოთაძე

ევროპა ლიგაზეც დაწყვილდნენ

უეფას შტაბ-ბინაში ევროპა ლიგის კენჭისყრაც გაიმართა. 1/16 ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან:

„ვალენსია“ – „რაპიდი“,
„ფიორენტინა“ – „ტოტენჰემი“,
„დორტმუნდი“ – „პორტუ“,
„ფენერბახჩე“ – „ლოკომოტივი“,
„ანდერლეხტი“ – „ოლიმპიაკოსი“,
„მიდტიულანდი“ – „მანჩესტერ იუნაიტედი“,
„აუგსბურგი“ – „ლივერპული“,
„სპარტა“ – „კრასნოდარი“,
„გალათასარაი“ – „ლაციო“,
„სიონი“ – „ბრაგა“,
„შახტარი“ – „შალკე“,
„მარსელი“ – „ბილბაო“,
„სევილია“ – „მიოლდე“,
„სპორტინგი“ – „ლევერკუზენი“,
„ვილიარეალი“ – „ნაპოლი“,
„სენტ-ეტიენი“ – „ბაზელი“.

პირველი მატჩები მომავალი წლის 18 თებერვალს გაიმართება, ხოლო საპასუხო – 25-ში.

◎ ჩემპიონთა ლიგა

მერვეددფინალები სუპერწყვილებით

გაიმართა უეფას ჩემპიონთა ლიგის მერვეددფინალების წილისყრა. განსაკუთრებული წყვილებია „არსენალი“ – „ბარსელონა“, „პსჟ“ – „ჩელსი“ და „იუვენტუსი“ – „ბაიერნი“. დაგვეთანხმებით, მართლაც რომ სუპერწყვილებია.

არსენ ვენგერის გუნდს, როგორც ხშირად ხდება, არ უმართლებს წილისყრაში და უკვე მერამდენედ ხვდება ფლეი-ოფში „ბარსელონას“. „პსჟ“ – „ჩელსი“ წინა სეზონშიც მერვეددფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და პარიზელებმა დამატებით დროში გატეხეს ლონდონელები.

გაუმართლა „ვოლფსბურგს“, რომელსაც ბელგიური „გენტი“ შეხვდა. აქვე ყველა წყვილს გაგაცნობთ:

„დინამო“ კიევი (უკრაინა) – „მანჩესტერ სიტი“ (ინგლისი),
„ბენფიკა“ (პორტუგალია) – „ზენიტი“ (რუსეთი),
„გენტი“ (ბელგია) – ვოლფსბურგი (გერმანია),
„არსენალი“ (ინგლისი) – „ბარსელონა“ (ესპანეთი),
„პსჟ“ (საფრანგეთი) – „ჩელსი“ (ინგლისი),
„იუვენტუსი“ (იტალია) – „ბაიერნი“ (გერმანია),
„პსვ“ (ჰოლანდია) – „ატლეტიკო“ (ესპანეთი),
„რომა“ (იტალია) – „რეალი“ (ესპანეთი).

პირველი მატჩები 16/17 და 23/24 თებერვალს მოეწყობა, ხოლო 8/9 და 15/16 მარტს – საპასუხოები. შეგახსენებთ, რომ ფინალი 28 მაისს მილანის „სან სიროზე“ გაიმართება.

ბადრი იაშვილი

◎ ფარიკაობა

მუშკეტერები - ალემანებთან

გერმანულ ეისლინგენში დასრულებულ 17-წლამდელ მოფარიკავეთა ევროპის თასის გათამაშებაში 21 ქვეყნის 470-მდე მოხმალავე ქალ-ვაჟი იბრძოდა საპრიზო ადგილებისთვის, მათ შორის – ორი ქართველი: ნიკა შენგელია და ლიკა ჯიჯეიშვილი.

შენგელიამ ჯგუფში ზედიზედ დაჯაბნა ალექსეი სიმაკი (მოლდოვა, 5:1), ბენტ ობდეჯი (ჰოლანდია, 5:2), ნიკოლაისონ მატეევი (ისრაელი, 5:0), ფრიდრიხ მამლერი (გერმანია, 5:0), კრისტიან რაბი (უნგრეთი, 5:0), პიეტრო ტორე (იტალია, 5:0) და პლეი ოფში გავიდა, იქ კი სამი მეტოქე დაამარცხა – ბემები ჰელიმელი (დიდი ბრიტანეთი) – 15:6,მაქსიმილიან მატეია (აშშ) – 15:11, მატეი ბელკესამი (საფრანგეთი) – 15:13, მაგრამ მე-4 შეხვედრა პოლონელ კაროლ ლადემანთან 4:15 წააგო და მეცხრე ადგილი დაიკავა. კვარცხლბეკზე ავიდნენ: 1. ვლადისლავ პოზდნიაკოვი (რუსეთი), 2. იალინ შაჰინი (თურქეთი), 3. მატეო მერი (იტალია) და არტიომ ცელიშევი (რუსეთი).

გოგონათა ტურნირში ჯიჯეიშვილმა ჯგუფში სამ მეტოქეს დააყრევინა ფარ-ხმალი: კიარა მარია პალუმბოს (იტალია, 5:4), ლეა ფილიპსს (გერმანია, 5:0) და ალისია პაპუზინსკას (პოლონეთი, 5:2), სამ მოწინააღმდეგეს კი თავად დანებდა – ნიკოლა ბორეცკას (გერმანია, 4:5), დარია გონჩოვას (უკრაინა, 0:5) და ალექსის ანგლადეს (აშშ, 2:5). ლიკამ პლეი-ოფშიც სამი მოხმალავე ჩამოიშორა გზიდან - იტალიელი ვიქტორია ზანარინი (15:11), თურქი დოგა აკარი (15:13) და უნგრელი რეკა მადე (15:9), თუმცა, შემდეგ ლუსი კლეინთან (საფრანგეთი) წააგო (11:15) და 31-ე ადგილს დაყაბულდა. საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ალინა მიხაილოვა (რუსეთი), 2. ესთერ ბერტოლია (აშშ), 3. ანა კოროლიოვა (რუსეთი) და ლიზა პუშტაი (უნგრეთი).

ლაშა დიდია

◎ ჩოგბურთი

მეორე ადგილს დასჯერდა

ანტალიაში გამართულ ჩოგბურთელ ქალთა 10.000-იან საერთაშორისო ტურნირზე შეჯიბრების რეიტინგფავორიტმა ეკატერინე გორგოძემ ზედიზედ ოთხ მეტოქეს სძლია – ავსტრიელ ნატაშა ბრედლის (6:0, 3:6, 6:2), ხორვატ მარიანა დრაჟიჩს (6:1), 6:2), უკრაინელ ალიონა ფომინას (6:1, 6:4) და ბრაზილიელ პიგოსს (6:4, 4:6, 6:0), მაგრამ ფინალური ორთაბრძოლა რუმინელ ელენა გაბრიელა რუსესთან დათმო – 6:1, 6:7, 2:6 და მეორე ადგილს დასჯერდა. საგულისხმოა, რომ კარპატელმა ნახევარფინალში მეორე ნომრად განთესილ სოფიო ქვაცაბაიას აჯობა – 5:7, 6:1, 6:1. მანამდე ქართველმა ჩოგბურთელმა პორტუგალიელი კლაუდია საინსი (6:4, 2:6, 6:2), იაპონელი საცუკი ტაკამურა (6:7, 7:6, 6:1) და ბულგარელი პეტრა არშინკოვა (6:4, 6:3) დაამარცხა.

დღეიდან თურქეთის დედაქალაქ ანკარაში ჩოგბურთელ ქალთა 50.000-იანი საერთაშორისო ტურნირის ძირითად ბადეში მე-7 ნომრად განთესილი სოფიო შაფათავა ჩაებმება. პირველ წრეში იგი რუმინელ კრისტინა დინუს დაუპირისპირდება. წყვილებში შაფათავა და სინდი ბურგერი (ჰოლანდია) კიმ-ალისე გრაიდეკსა (გერმანია) და ეკატერინა იაშინას (რუსეთი) დუეტს შეხვდებიან.

გივი გაგუა

◎ სამომხმარებლო ბაზრის მანჭვები

ფასების გიჟური სრბოლის ღაგამი

ლარის კურსის ვარდნა ერთ წელზე მეტი ხნის წინათ დაიწყო და, მართალია, ბოლო რამდენიმე კვირის მანძილზე მეტ-ნაკლებად რყევების გარეშე „გაჩერებულია“ დაახლოებით 2,4-იან ნიშნულზე დოლარის მიმართ, მაგრამ მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მატერიალური მდგომარეობა ამის გამო არ გაუმჯობესებულა. ფასების მომატება უკლებლივ ყველა სახეობის საქონელზე, უწინარესად სურსათზე, როგორც ახალ ტანსაცმელსა და საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნებზე, ასევე მეორად პროდუქციაზეც, ელექტროენერგიაზე და ა. შ. ჯერ კიდევ 2014 წლის მიწურულიდან როგორც დაიწყო, ასე გრძელდება მთელი ამ წლის მანძილზე. მათ თუნდაც ამჟამინდელ დონეზე „გაყინვას“ არც გაისად უნდა ველოდოთ, არც, მით უმეტეს, საახალწლოდ. და მაინც, ყველას მუდამ ერთი კითხვა გვიხრავს გონებას: მაინც რატომაა, რომ ჩვენში ფასები გამუდმებით იზრდება (ვთქვათ, ნავთობპროდუქტებზე), კლებით კი, თუ იკლებს კიდეც, ამ სხვაობის დასანახად მთლად მიკროსკოპი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ლუპა მაინც აუცილებელია. რატომაა, რომ ძვირდება არა მარტო იმპორტული, არამედ ადგილობრივი სურსათიც, სხვა სახეობის საქონელი, თუმცა კი ამდენი ახალი საწარმო გაიხსნა და ამოქმედდა თუნდაც ბოლო სამი წლის მანძილზე? რატომაა, რომ, ფაქტობრივად, ყველა სახეობის ბაზარი მონოპოლისტების ხელშია და ვერანაირი ანტიმონოპოლიური სამსახურის ამოქმედება საქმეს ვერ შველის?

ცხადია, რომ სურსათზე, საყოფაცხოვრებო პროდუქციასა და მომსახურებაზე ფასების ამჟამინდელი ზრდის მთავარი მიზეზი, მრავალ სხვა განმაპირობებელ ფაქტორთან ერთად, შარშან წლის მიწურულისთვის დაწყებული ლარის კურსის ვარდნაა. ეროვნული ვალუტის დასუსტების პირველ ტალღას მეორე გაზაფხულზე მოყვა და ახლა ერთი დოლარი უკვე 2,4 ლარზე მეტი ღირს და, იმის მიუხედავად, რომ ეროვნული ბანკის მესვეურები გვარწმუნებენ, რომ ამ ეტაპზე ვითარება კონტროლს ექვემდებარება, ქვეყნის შიგნით მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესები, ასევე უმნიშვნელოვანესი სამხედრო-პოლიტიკური კატაკლიზმები მის ფარგლებს გარეთ, რომ იტყვიან, ჩვენ უახლოეს სამეზობლოში, იმის ნიშანია, რომ ლარის გაუფასურება დღევანდელ ნიშნულზე არ გაჩერდება. აქედან, სავსებით ბუნებრივად, გამომდინარეობს დასკვნა, რომ **ახლო მომავალში ფასების ზრდა სავსებით რეალური პერსპექტივაა. ამასთან, აუცილებლად აღსანიშნავია ისიც, რომ ფასების მატება მოსალოდნელია არა მარტო იმპორტულ, არამედ ადგილობრივ საქონელზეც.** ამას რამდენიმე მიზეზი აქვს, მათ შროის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისაა, რომ ეს გარდუვალია იმის გამო, რომ **ადგილობრივი წარმოების სხვადასხვა**

სახეობა (გნებავთ კვერცხის, ქათმის ხორცის) დიდადაა დამოკიდებული მის იმპორტულ ტექნოლოგიურ უზრუნველყოფაზე. აქედან გამომდინარე, როცა გაძვირდება ტექნიკური დანადგარები და ა. შ. თავისთავად, გაიზრდება საბოლოო პროდუქტის თვითღირებულება და, შესაბამისად, სამომხმარებლო ფასიც. მათი ზრდის მიზეზთა შორისაა ასევე ენერგოშემცველებზე (ელექტროენერგიაზე, ნავთობპროდუტებზე) ტარიფებისა და ფასების ზრდა, ასევე, თვალის ერთი გადავლებით, თითქოს პარადოქსული გარემოება — თავად იმპორტულ საქონელზეც ფასის მატება. საქმე ის არის, რომ, როდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ეს გარემოება ადგილობრივ მეწარმეთათვისაც, შუამავლებისთვისაც (რომლებსაც ახალმოდურად „დილერებს“ ვეძახით) და, მით უმეტეს, გამყიდველებისთვისაც გამყიდველებისთვისაც ერთგვარ ორიენტირს წარმოადგენს: ვითომ თურქული პომიდორი 3-3,5 ლარი თუ ღირს, მე უფრო იაფად რატომ უნდა გავყიდოო? — ეს გახლავთ მათი მამოძრავებელი აზრი, რომელიც მოგების მიღების არა გაყიდული საქონლის ოდენობის, არამედ ერთეულის ფასის გაზრდაზეა მიმართული.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ერთი იმის დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ **ფასების ზრდის ერთადერთ რეალურად შემაჩერებელ ძალად მხოლოდ ჯანსაღი კონკურენცია შეიძლება იქცეს:** სავსებით ცხადია, რომ თუკი ბაზარზე, თუნდაც არც თუ დიდი ოდენობით, მაგრამ გარკვეულად იაფიანი, ხარისხიანი საქონელია, მას მყიდველი არ გამოელევა და სულ მისი მუშტარი იქნება. მაგრამ, უბედურება ისაა, რომ **რამდენადმე ფართო მასშტაბით ჩვენში ჯანსაღი კონკურენცია არც ერთ რამდენადმე მნიშვნელოვან სფეროში, ფაქტობრივად, არ არსებობს ოდნავ მაინც ხელშესახები შედეგი არც ახლადშემოღებულ ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას, არც, მით უმეტეს, უზანტესად მოქმედ კუნკურენციის სააგენტოს შექმნას მოჰყოლია.**

როცა სამომხმარებლო ფასების ზრდაზეა ლაპარაკი, **გასათვალისწინებელია ერთი შეხედვით ისეთი მეორეხარისხოვანი გარემოება, როგორიცაა პროდუქციის იმპორტიორებშიც, მწარმოებლებშიც, დილერებშიც და გამყიდველებშიც დაბუდებული ხვალინდელი დღის შიში:** მერე რა იქნება, აბა, რა ვიცი, მოდი, სჯობს თავი დავიზღვიო, მეტი ვიწვალო, მუშტარს მეტ ხანს ველოდო, ცოტა-ცოტა გავყიდო, სამაგიეროდ ძვირად. არადა, **როცა ქვეყანაში ეკონომიკური ვითარება სტაბილურია, ხალხში ასეთი შიში ნაკლებად მძლავრობს.**

ამდენად, ფასების ზრდისთვის „ლაგამის ამოდების“ პანაცეა, როგორც ჩანს, არ არსებობს, თუმცა კი **ჯანმრთელი კონკურენციის ზრდა, ბაზრის მონოპოლისტების ალაგმვა, მაღალი ტექნოლოგიების დანერგვაზე ორიენტირებული ეკონომიკური განვითარება და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ოპტიმიზაცია,** რაზეც წინა მასალებში არაერთგზის გვქონია ლაპარაკი, მაინც ის საშუალებებია, რომელთა გონივრული გამოყენებით „ფასების გიჟური სრბოლის“ შეჩერება მაინც შესაძლებელია.

ოთარ ტურაბელიძე

◎ მცირე ენციკლოპედია

მითები თმის ცვენის შესახებ

რატომაა, რომ თავზე თმა გვცვივა? ამის თაობაზე უამრავი მოსაზრება არსებობს, რომელთაგან რამდენიმეზე, ყველაზე მეტად გავრცელებულზე ვილაპარაკებთ და ვნახავთ, მათში რა შეესაბამება სინამდვილეს და რა — არა.

მითი №1. გამელოტებას ხალხი მხოლოდ ხანდაზმულობაში იწყებს.

სინამდვილეში ანდროგენეტიკური გამელოტება შესაძლოა ნებისმიერ დროს დაიწყოს სქესობრივი მოწიფულობის დადგომისთანავე, ანუ 14 წლის ასაკში. თანაც ეს პროცესი სავსებით შესაძლოა დაეწყოს როგორც ჭაბუკებს, ასევე ქალიშვილებს. კეროვანი და დიფუზიური ალოპეცია (თმის ცვენა) პატარა ბავშვებსაც კი უჩნდებათ ხოლმე.

მითი №2. თმის ცვენას დიდად აძლიერებს მათი ხშირი ვარცხნა და დაბანა, ასევე მრავალჯერადი ანდა უხარისხო შეღებვა.

სინამდვილეში თმების მოუვლელობა, უწინარესად, ვარცხნილობაზე აისახება: იწყება ბოლოების გაორება, იკარგება ბზინვარება, ღერები ადვილად მსხვრევადი ხდება, მაგრამ ცვენასთან ამას მაინც კავშირი არა აქვს. ასევე მითია, რომ თმის ცვენა შეიძლება სავარცხელმა გამოიწვიოს — ჯანმრთელი თმის ღერს 30 კილოგრამის წონის გაძლება შეუძლია.

მაგრამ, თუ თმების ფესვები დასუსტდა, მაშინ ქოჩორი ცვივა ხელის ოდნავ მიკარებითაც. ამიტომაცაა, რომ სავარცხლისა არ უნდა გეშინოდეთ, პირიქით: თმის ვარცხნა ხომ სხვა არაფერია, თუ არა თავის თმით დაფარული ნაწილის მასაჟი, რომელიც სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს და, შესაბამისად, ამით ხელს უწყობს მის ძირებში სასარგებლო მიკროელემენტების მიწოდებას.

მითი №3. თავი შეიძლება ბილიარდის ბურთივით გლუვი გაგიხდეთ ცუდი კვებისა და მავნე ჩვევების გამო.

სინამდვილეში, თუკი ადამიანს ცილოვანი საკვები აკლია, ნაკლებ ვიტამინებსა და მიკროელემენტებს იღებს, თმასთან დაკავშირებით პრობლემები აუცილებლად შეექმნება, თუმცა კი გამელოტება ამის გამო არ ემუქრება. მაგრამ, თუ კაცი საგანგებოდ შიმშილობს, ანდა, მით უმეტეს, ანორექსიას ან ბულიმიას უჩივის, ან ანემია (ანუ რკინის დეფიციტი) აქვს, მაშინ თმების ცვენის ინტენსიფიკაციას ნამდვილად ვერ გადაურჩება. უმრავლესობა შემთხვევაში ასეთი გამელოტების პროცესის შველა შეიძლება, თუკი მის გამომწვევ მიზეზებს მოვსპობთ. მაგრამ თუ სხეულის წონა კრიტიკული მასის ქვევით ჩამოვიდა, ეს ყოველთვის იწვევს ჰორმონალურ დარღვევებს, მათი გამოსწორება კი ძალიან ძნელია, ხშირად, სულაც, შეუძლებელი.

იმისათვის, რომ თმა უკეთ გეზრდებოდეთ და ძლიერი იყოს, ამისთვის სასარგებლოა მიირთვათ: ზღვის თევზი (ჩრდილოეთის ორაგული, კალმახი, ვირთევზა), წითელი ხიზილალა, ხბოს ხორცი, კვერცხი, ისპანახი, ბროწეული და ზეითუნის ზეთი. რაც შეეხება ვიტამინებსა და მიკროელემენტებს, თმის ზრდას ხელს უწყობენ: ფოლიის მჟავა, სელენი, ცინკი, რკინა, სილიციუმის ორჟანგი. ხოლო როცა საქმე მავნე ჩვევებზე მიდგება, ცხადია, რომ გარკვეულ უარყოფით როლს ისინიც ასრულებენ. მაგალითად, თამბაქოს მოწევა ხელს უშლის სისხლის ნორმალურ მიმოქცევას, რასაც, თავის მხრივ, შესაძლოა თმების ნაადრევი ცვენა მოჰყვეს. სისხლის ნორმალურ მიმოქცევას ცხოვრების ნაკლებად მოძრავი წესიც ვნებს, რადგან კისრის არეში სისხლის უძრაობა არა მარტო ხელს უშლის თავის ტვინის ნორმალურ კვებას, არამედ საკვები თმის ფოლიკულებსაც (თმის ბოლქვებს) აკლდებათ. ამიტომაცაა, რომ გამელოტების კომპლექსური მკურნალობის დანიშვნისას მავნე ჩვევებზე უარის თქმას ექიმები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

მითი №4. გამელოტების შეჩერება შეიძლება, თუკი თმების ამომყვან საგანგებო ვიტამინურ კომპლექსებს მივიღებთ.

სინამდვილეში ეს ასე არ არის. გამელოტების შესაჩერებლად საჭიროა ამ პროცესის მიზეზის დადგენა. ამის გაკეთება კი მხოლოდ ტრიქოლოგს შეუძლია, თანაც საამისოდ ხშირად სხვა სპეციალობების ექიმთა დახმარება სჭირდება, მათ შორის, უმეტესად, ენდოკრინოლოგისა და, როცა საქმე ქალს ეხება, საჭიროა ასევე გინეკოლოგ-ენდოკრინოლოგის კონსულტაცია.

მოამზადა
ნინო ალექსანდრიამ

ვახტანგ ყოლბაია, ედუარდ სურმანიძე, მელორ ტყეშელაშვილი, დათო ბენიძე, ვახტანგ კიკნაძე, ნუგზარ რუხაძე, ჯამბულ წულაია, ივერი ჭელიძე, ბესო კილასონია, თემურ კალანდაძე, უშანგი დალალიშვილი თანაუგრძნობენ ბატ. ვიტალი ხაზარაძეს მძახლის

ლევან ყიფიანის

გარდაცვალების გამო.

◎ ინფორმაცია

ცესკოში პროკურატურა შევიდა

განცხადება ამის შესახებ მთავარმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ გაზეთ „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში გააკეთა.

როგორც შოთაძემ აღნიშნა, გამოძიება აუდიტის დასკვნის საფუძველზე დაიწყო.

„ჩვენთან სწორედ აუდიტის დასკვნის საფუძველზე დაწყებულია გამოძიება, რადგან არსებობდა გარკვეული დანაშაულის ნიშნები. ეს უნდა გადაამოწმოს გამოძიებამ, რაც რამდენიმე დღის წინ ნამდვილად დაიწყო“, — აცხადებს შოთაძე.

განცხადება

2015 წლის 21 დეკემბრის დღის 11 საათზე შედგება შპს „ლომისა-ს ს/ნ 204881798 პარტნიორთა/დამფუძნებელთა კრება, შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას მე-2 კვარტალი, მე-4 კორპუსი.

ტელე 2 31 36 76

დღის წესრიგი:

1. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 29 იანვრის №130083113 გადაწყვეტილებით დადგენილი ხარვეზის, შპს „ლომისა-ს ს/ნ 204881798 დამფუძნებელთა პარტნიორთა მონაცემების, რეკვიზიტებისა და საიდენტიფიკაციო პირადი ნომრების ასევე მათი წილების დადგენა-იდენტიფიცირება.
2. შპს „ლომისა-ს ს/ნ 204881798 დამფუძნებელთა პარტნიორთა ინფორმაციის დაზუსტება და შესაბამის სამსახურში მათი წარდგენა სისწორის დადგენის მიზნით.
3. საორგანიზაციო და სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტა.
4. სხვადასხვა.

◎ კრიმინალი

ნარკოდანაშაული გახსნილია

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 1990 წელს დაბადებული გიორგი მ. და 1987 წელს დაბადებული რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ალბინა ს. ნარკოდანაშაულისთვის თბილისში დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ორივე დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 97 აბი (მეთილენდიოქსიმეტამფეტამინი) ეგრეთ წოდებული ექსტაზი ამოიღეს.

ნარკოლოგიური შემოწმებით ალბინა ს-ს ნარკოტიკული საშუალება ექსტაზის, ამფეტამინის, და მეტამფეტამინის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

◎ ვერნისაჟი

„არწივები კავკასიიდან“ ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში

კარგა ხანია, ჩვენმა კოლეგამ, საქართველოს დამსახურებულმა ჟურნალისტმა ამირან ბუთურიშვილმა თანამოაზრეებთან ერთად „კავკასიის საერთაშორისო ფესტივალების ასოციაცია“ დააარსა და საზღვარგარეთ ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეს ჩაუდგა სათავეში. მხატვრები, ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებლები, კულტურის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთ საქმეს უჩუმრად აკეთებდნენ, უცხოელებისთვის ცნობილნი სწორედ ბატონი ამირანისა და ქალბატონ **ნანა მიშელაძის** უანგარო თანადგომით გახდნენ. წლეულს ოქტომბერში ჩეხეთში სწორედ ამ ასოციაციის თაოსნობით გაიმართა ცხრა ქართველი მხატვრის ნამუშევრების გამოფენა, ხოლო ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებლები ანსამბლი **„თორდა“** (ხელმძღვანელი თამარ ალადაშვილი) და **„გუმბათი“** (ხელმძღვანელი სოფო ქირია) თავიანთი ვირტუოზული შესრულებით ატკბობდნენ უცხოელ მასპინძლებს. „კავკასიის საერთაშორისო ფესტივალების ასოციაციასთან“ ერთად ამ მართლაც შესაშურ საქმეს ეწევა **„კავკასიის ხელოვანთა საერთაშორისო ლიგაც“** (ხელმძღვანელი **მანანა გაბუნია** და **მამუკა ბოგვერაძე**) რომლებმაც ჩეხურ გასტროლებზე აქტიური მონაწილეობა მიიღეს.

ანსამბლი „გუმბათი“

ანსამბლი „თორდა“

კვირას, საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში სწორედ უცხოური ვოიაჟის ანგარიში წარადგინეს ასოციაციისა და ლიგის ხელმძღვანელებმა, ვიზიტორთა დარბაზში გამოიფინა ცხრავე მხატვრის ნამუშევრები, ხოლო თვითშემოქმედების ხალხური სიმღერების ანსამბლებმა კიდევ ერთხელ დაატკბეს თავიანთ პროფესიონალიზმით შეკრებილი სტუმრები.

ამირან ბუთურიშვილი: ჩეხეთში ჩვენი მხატვრები და მუსიკოს-შემსრულებლები ერთი კვირა ვიმყოფებოდით, ვერნისაჟი და საკონცერტო გამოსვლები იმართებოდა საერთო სახელწოდებით — „არწივები კავკასიიდან“. საინტერესო ფაქტის შემსწრენი გავხდით — ჩეხეთში ჩვენ უკრაინის სათვისტომო გვმასპინძლობდა, ხოლო დარბაზი რუსეთის კულტურის ცენტრმა დაგვითმო. ამით კიდევ ერთხელ დამტკიცდა, თუ როგორ აერთიანებს ხელოვნება და კულტურა სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს, რაგინდ პოლიტიკური დაძაბულობაც არ უნდა არსებობდეს ამ ქვეყნებს შორის. ჩვენს დღევანდელ წარდგინებაზე ვერნისაჟში მონაწილე მხატვრებსა და პატარა შემსრულებლებს სერტიფიკატები და სიგელები გადაეცემათ. დიდი მადლობა ეროვნული ბოტანიკური ბაღის ახალ დირექტორს ბატონ თამაზ დარჩიძეს, რომელმაც დაგვითმო ეს მშვენიერი დარბაზი და დედაქალაქის სტუმრებსა და ქართული ხელოვნების თაყვანისმცემლებს საშუალება მისცა ოთხშაბათამდე, 16 დეკემბრამდე დატკბნენ ამ ვერნისაჟით.

თამაზ დარჩიძე: *(ეროვნული ბოტანიკური ბაღის დირექტორი):* **ეს პირველი ღონისძიებაა, რომელიც ჩემი ახალი თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ ტარდება და რაოდენ სასიხარულოა, რომ ხელოვნებისა და კულტურის წარმომადგენლებს ვმასპინძლობთ. ყველას მინდა გულწრფელად მოვახსენო, რომ ეროვნული ბოტანიკური ბაღი, არამარტო ჩაკეტილი, კვლევითი, ვიწრო სპეციალობის დაწესებულებაა, არამედ კულტურისა და დასვენების პარკიც, რომელიც ყოველთვის მზად უნდა იყოს მაღალ დონეზე უმასპინძლოს ამგვარ ღონისძიებებს. მართლაც აღფრთოვანებული დავრჩი იმ ვირტუოზი პატარა მომღერლების შემოქმედებით, ნახატები კი მართლაც საუცხოოა. ეჭვი არ მეპარება, როგორი კმაყოფილი და აღფრთოვანებული იქნებოდნენ უცხოელი დამთვალიერებლები.**

ელენე გამგონიძე *(მხატვარი):* **ჩვენ მართლაც მონუსხებულები ვართ ქართველი მომღერლების შემოქმედებით, უნდა მოგახსენოთ, რომ მხატვრებიც ვმღერივართ, ოღონდ გულით ვმღერით და ჩვენი სულიერი სიმღერა ტილოზე გადაგვაქვს. ჩუმად ვაკეთებთ ჩვენს საქმეს და რაოდენ სასიხარულოა, რომ არიან ადამიანები, რომლებიც შენს მაგივრად „ლაპარაკობენ“, ანუ შენი ხელოვნების წარმოჩენაში გეხმარებიან, თანაც უანგაროდ. მადლობა მინდა მოვახსენო ბატონ ამირანს და ქალბატონ მანანას, ასევე ბოტანიკური ბაღის ხელმძღვანელობას, რომლებმაც რამდენიმე დღით დაგვითმეს ეს მშვენიერი დარბაზი ჩვენი ნამუშევრების გამოფენისათვის.**

ელენე გამგონიძის, მარინა ონიანის, დინარა კასრაძის, ქეთევან ჯავახაძის, ხათუნა სონღულაშვილის, გია მელუას, თემურ სამადაშვილის, ემზარ ცირდავასა და გიორგი ქობელაშვილის ნამუშევრები მართლაც ჭეშმარიტ ხელოვნებასთან გაზიარებთ თბილისელებსა და დედაქალაქის სტუმრებს.

ავთანდილ ბეძაური

12 დეკემბერს გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები

1. კამერუნი. 2. მოდილიანი. 3. რანეტი. 4. ნესტროი. 5. ური. 6. ონისე. 7. ნოდიე. 8. მაკულატურა. 9. მანგოლდი. 10. ნუნუ. 11. არესი. 12. ტიჩინო. 13. ნიანგი. 14. სატურნი. 15. ანტრე. 16. ფლეიტა. 17. ალთაი. 18. გოლდი. 19. შოუ. 20. ტორფი. 21. პიტი. 22. პრადო. 23. რიოსი. 24. დიჟონი. 25. დარაბა. 26. რკო. 27. აფიშა. 28. ბარი. 29. ჟირაფი. 30. პომპა. 31. ნებრასკა. 32. მიჯნა.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— სექსისას ჩემი ქმარი ლომივით ღრიალებს. ისე მრცხვენია მეზობლებისა.

— მერე სთხოვე, რომ თავი შეიკავოს, ის ხომ ზრდასრული ადამიანია!

— გგონიათ, არ ვთხოვე? მაგრამ როგორც კი ვინმესთან წამასწრებს, მაშინვე ლომივით აღრიალდება ხოლმე.

* * *

— მინდა, რომ ერთხელ მაინც გამოვიძინო ნორმალურად!

— შენ ხომ ნორმალურად გძინავს. რვა საათი დღეში!

— ჰო, მაგრამ დაწოლილმა მინდა, გამოვიძინო!

* * *

— გაძვთ შემოსავლები, რომელთა შესახებ საგადასახადო ორგანოებმა არაფერი იციან?

— ზოგჯერ შადრევნიდან მონეტებს ვიღებდი ხოლმე.

* * *

— გამარჯობა, პეტკა. მითხრეს, რომ შენს ცოლს შენი ახალი „პორშე“ დაუმტვრევია.

— მართალი უთქვამთ.

— ცოლს რაიმე ხომ არ დამართნია?

— ჯერჯერობით არა, სააბაზანო ოთახში მოასწრო ჩაკეტვა.

◎ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე